ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემწიფო

უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

მაკროეკონომიკის მიმართულება

დავით ებილაშვილი

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი ნაშრომი თემაზე:

„უმუშევრობა და მისი დაძლევის გზები საქართველოში“

მეცნიერ ხელმძღვანელი:

პროფესორი მირიან ტუხაშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

უმუშევრობა კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონე მკვეთრად ამცირებს, როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. უმუშევრობის ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი გამოშვებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების რაოდენობის კლებაა. როდესაც დასაქმების მსურველთა უმრავლესობა ვერ პოულობს სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების პოტენციური წარმოება უკვალოდ იკარგება. საქართველოში დღეს არსებული სიღარიბის მთავარი ინდიკატორი სწორედ უმუშევრობის მაღალი დონეა.

საქართველოში უმუშევრობას აქვს რეგიონული თავისებურებანი. განსაკუთრებით, თავისებურებებით ხასიათდება დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონები. ამის მაგალითია - გარდაბნის რაიონის სოფელი მარტყოფი, სადაც უმუშევრობის სპეციფიკური ვითარება წარმოიქმნა და საჭირო გახდა მისი დაძლევის განსხვავებული გზების ძიება. ნაშრომში ჩვენს მიერ ჩატარებული შერჩევითი ანკეტური გამოკვლევის შედეგად დადგენილია უმუშევრობის მიზეზები და დასახულია გზები მის შესამცირებლად.

კვლევითი პროექტის მიზანი იყო შესაბამისი სიღრმით გაგვეანალიზებინა საქართველოს დედაქალაქის ახლოს მდებარე, საგარეუბნო ზონის სოფლებში უმუშევრობის პრობლემა, დაგვედგინა მისი გამომწვევი მიზეზები და განგვესაზღვრა უმუშევრობის შემცირების ძირითადი მიმართულებანი მთელ ქვეყანასა და შერჩეულ კონკრეტულ ლოკაციაზე.

კვლევის შედეგაგ გამოვლინდა, რომ გამოკითხული რესპოდენტების დიდი ნაწილი ქანქარისებული შრომითი მიგრაციის ფორმით დასაქმებულია დედაქალაქში.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვეყანაში უმუშვერობის შემცირება საჭიროა არა ერთი რომელიმე კონკრეტული მეთოდით, არამედ კომპლექსურად. დედაქალაქის შემოგარენში უმუშევრობის დაძლევა უნდა მოხდეს: ქანქარისებული მიგრაციის ოპტიმიზაციით, სოფლის მეურნეობის წახალისებით, მცირე საწარმოების ამოქმედებით და ა.შ. თბილისის საგარეუბნო ზონაში უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა შეიძლება გახდეს ტურიზმის განვითარება.

Davit Ebilashvili

Unemployment Problems and Ways of Overcoming it in Georgia

Annotation

Unemployment remains one of the country's major challenges. The high level of unemployment dramatically reduces the income of the population as well as the state budget. The biggest negative result of unemployment is the decline in the output of products and services. Potential production of goods and services is lost without any trace. The main indicator of poverty in Georgia is the high level of unemployment.

The unemployment in Georgia has regional peculiarities. Especially peculiarities are characterized the suburban zones of large cities. The example of this is Gardabani region village Martkopi, where the unemployment situation has arisen and it was nesseccary to find different ways to overcome it. Based on the selected survey examination conducted by us, the reasons for unemployment are set and there are ways to reduce it.

The purpose of the research project was to analyze the unembpoyment problem in the suburban zones of the capital of Georgia, to find out its causes and to determine the main source of unemployment reduction in whole country and in selected specific locations.

The survey revealed that a large number of interviewed respondents are employed in the form of labor migrations in the capital.

Analysis showed that unemployment reduction in the country is needed not only bu one particular method but rather as a complex. Unemployment in the backy and of the capital should be overcome: by optimized for migratory migration, by encourage agriculture, by enabling small enterprises and etc… One of the most important ways to tackle unemployment in the suburban zone of Tbilisi can be the development of tourism.

შინაარსი

შესავალი 5

თავი I : უმუშევრობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები 8

1.1. შრომის ბაზარი, უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტერმინოლოგია 8

1.2. უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები 17

1.3. უმუშევრობის თეორიები 21

თავიII: უმუშევრობა საქართველოში 25

2.1. უმუშევრობის ზოგადი ანალიზი საქართველოში 25

2.2. უმუშევრობა თბილისის საგარეუბნო ზონაში 41

თავიIII: უმუშევრობის დაძლევის ძირითადი მიმართულებები 72

3.1. უმუშევრობის შემცირების ძირითადი მიმართულებები საქართველოში 72

3.2. დასაქმების დონის ამაღლების გზები თბილისის საგარეუბნო ზონაში 81

დასკვნა 86

გამოყენებული ლიტერატურა 90

შესავალი

თემის აქტუალურობა. უმუშევრობის პრობლემა მთელ მსოფლიოში კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად რჩება. რა თქმა უნდა, საქართველოც არის იმ ქვეყნებს შორის, სადაც ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას.

საქართველო არის პოსტ-საბჭოური ქვეყანა, რომელმაც გამოიარა ძალიან მძიმე გარდამავალი პერიოდი. დავიწყოთ იქიდან, რომ ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ნებისმიერ საზოგადოებაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის. თუმცა, ამ პრობლემებს ჩვენს ქვეყანაში დაემატა შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რომლის მაქსიმალურად გამწვავებასაც ცდილობდნენ გარე ძალები. მათ ეს აშკარად გამოუვიდათ და შედეგად ქვეყანაშიწარმოიშვა არა ერთი სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემა, რომელთა აღმოფხვრასა და მოგვარებას დღესაც ცდილობს საქართველო. ამ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის უმუშევრობა, რომელმაც, ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, უკვე რამდენიმე წელია გადაასწრო ოკუპაციის პრობლემას (რომელიც წესით, რა თქმა უნდა, ნომერ პირველი უნდა იყოს).

„მასობრივი ქრონიკული უმუშევრობა მწვავე სოციალური პრობლემაა. იგი აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.“[1] უმუშევრობა, ჩვენს ქვეყანაში რამოდენიმე პრობლემას განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს. მათ შორისაა სოციალური უთანასწორობის პრობლემა.

უმუშევრობა არა ერთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას იწვევს, მათ შორისაა: მუშაკთა დეკვალიფიკაცია, სიღარიბის ზრდა, ადამიანთა ფსიქიკის შერყევა, მორალის დაცემა, თვითმკვლელობა, კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, ქორწინებისა და შობადობის შემცირება, განქორწინებულთა რიცხვისა და გარდაცვლილთა რაოდენობის

[1] **ჩიქავა, ლ.** (2012). *დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში* .თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი." გვ. 73

ზრდა და ა.შ. ნაშრომში აღნიშნული საკითხები უფრო სიღრმისეულად იქნება განხილული.

საქართველოში უმუშევრობას აქვს რეგიონული თავისებურებანი. განსაკუთრებით, თავისებურებებით ხასიათდება დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონები. ამის კლასიკური მაგალითია - გარდაბნის რაიონის სოფელი მარტყოფი, სადაც უმუშევრობის სპეციფიკური პირობები წარმოიქმნა და გამოვლინდა მისი დაძლევის განსხვავებული გზები. ამრიგად, ჩვენს მიერ სპეციალურად შედგენილი ანკეტით, ჩატარებულია შერჩევითი ანკეტური გამოკვლევა, მეტ-ნაკლებად დადგენილია უმუშევრობის მიზეზები და დასახულია გზები მის შესამცირებლად.

მიზანი. კვლევითი პროექტის მიზანია საქართველოში საერთო უმუშევრობის შესწავლის ფონზე სიღრმისეულად გავაანალიზოთ საქართველოს დედაქალაქის ახლოს მდებარე სოფლებში უმუშევრობის პრობლემა, ვიმსჯელოთ მის გამომწვევ მიზეზებზე და დავსახოთ მისი შემცირების ძირითადი მიმართულებანი, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე კონკრეტულ ლოკაციებზეც.

კვლევის მეთოდები - ჩვენს ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდი - გამოკითხვა ანკეტის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდი შევარჩიეთ კვლევის ჩასატარებლად, რადგან რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ფართოდ გავრცელებულია მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში, როგორც სოციალურ, ისე ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ამასთან, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები საშუალებას იძლევა, სწორად განხორციელებული შერჩევის შემთხვევაში, მოსახლეობის ფართო ჯგუფებზე მოხდეს შედეგების განზოგადება, რაც მის განსაკუთრებულ სანდოობაზე მეტყველებს.

კვლევის თავისებურებები - აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. მაგალითად, მცირე შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კვლევა მომზადდა და განხორციელდა საგარეუბნო ზონის მასშტაბებთან შედარებით მცირე ტერიტორიაზე. ამიტომ მისი შედეგებიის განზოგადებისას, შეიძლება მივიღოთ შედარებით მაღალი ცდომილების ხარისხი, თუმცა ვფიქრობ, რომ კვლევა ატარებს საკმაოდ მაღალ ღირერებულებას ადგილობრივ დონეზე (და არა მარტო ადგილობრივ დონეზე). კვლევა შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილობრივი

ხელისუფლებისთვის, და არა მარტო იმ სოფლისთვის, სადაც იგი ჩატარდა, არამედ, ანალოგიური მახასიათებლების გამო, დედაქალაქთან ახლოს მდებარე ყველა დასახლებისთვისაც.

იმისთვის, რომ ვებრძოლოთ უმუშევრობას, პირველ რიგში, უნდა გავაანალიზოთ მისი გამომწვევი მიზეზები. „უმუშევრობის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს: ეკონომიკის ტრანსფორმაცია, ეკონომიკური დაქვეითება, ეკონომიკური რეფორმების დროს დაშვებული შეცდომები, ინოვაციის განხორციელება, კორუფციის მაღალი დონე, არასრულყოფილი ინსტიტუციების არსებობა, რთული პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაცია და ა.შ“.[1]

მას შემდეგ, რაც გავაანალიზებთ უმუშევრობის წარმოშობის მიზეზებს, უნდა დავიწყოთ მისი აღმოფხვრის გზებზე მუშაობა. პირველ რიგში, საჭიროა ეკონომიკური და საბიუჯეტო პრიორიტეტების სწორად დასახვა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია უმუშევრობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, მათ შორის: შრომის ბაზარი, უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტერმინოლოგია, უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და უმუშევრობის თეორიები. მეორე თავში გაანალიზებულია საქართველოში დღეს-დღეობით არსებული უმუშევრობასთან დაკავშირებული ვითარება. ამისთვის ვეყრდნობით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) უახლეს მონაცემებს. ამავე თავში წარმოდგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა - „უმუშევრობის ანალიზი თბილისის საგარეუბნო ზონაში“. მესამე თავში კიი მოცემულია უმუშევრობის დაძლევის ძირითადი მიმართულებები, როგორც მთლიანად საქართველოში, ისე თბილისთად ახლოს მდებარე სოფლებში.

[1] **აბესაძე, რ.** (2017). *ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. ეკონომისტი,* ტომი XIII, №2.

თავი I : უმუშევრობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები

1.1. შრომის ბაზარი, უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტერმინოლოგია

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია შრომის ბაზარი. შრომის ბაზარი, თუკი ის გამართულად ფუნქციონირებს, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქრებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას, როგორც დასაქმებული, ასევე დამსაქმებელი, ანუ აუმჯობესებს შრომის პირობებს, მაღალი კონკურენციის საფუძველზე უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ამაღლებას.

შრომითი უნარის მატარებელი ადამიანი, ესაა პიროვნება, რომელიც თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად იყენებს საკუთარ შრომით უნარს, რათა მიიღოს გარკვეული შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის საშუალებით, ადამიანები ცდილობენ ისეთი სამუშაოს პოვნას, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს, ღირსეულ შემოსავალთან ერთად, უზრუნველყოფს მათი პიროვნული და შრომითი უნარების განვითარებას და ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებას. აქედან გამომდინარე, ცხადია თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს შრომის ბაზრის გამართულად ფუნქციონირებას.

შრომის ბაზარი ერთმანეთთან აკავშირებს და ათანხმებს დამქირევებლებსა და დაქირავებულებს. იგი უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მოქმედების საფუძველზე. თუ შრომის ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს უტოლდება, მაშინ საქმე გვაქვს საბაზრო წონასწორობასთან. თუ ეს წონასწორობა დაირღვევა, მაშინ შრომის ბაზარზე გვექნება ან სამუშაო ძალის დეფიციტი (მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას) ან უმუშევრობა (მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას). „თუ შრომის ბაზარზე წარმოიშვება უმუშევრობა, მაშინ დასაქმებულთა ხელფასის განაკვეთი დაიწყებს კლებას და ეს პროცესი გაგრძელდება იქამდე, ვიდრე შრომის მიწოდება შრომაზე მოთხოვბნას კვლავ არ გაუტოლდება.“[1]

[1]Romer, D. (1996). Advanced Macroeconomics - http://lnnk.in/aObM

უმუშევრობის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის ანალიზისთვის, საჭიროა მათი არა მარტო თვისობრივი დახასიათება, არამედ რაოდენობრივი შეფასებაც. უმუშევრობის ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება: უმუშევრობის რიცხოვნობა; უმუშევრობის ხანგრძლივობა; უმუშევრობის დონე; უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა; უმუშევართა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა; უმუშევართა დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა; უმუშევართა შემადგენლობა სოციალური დაჯგუფების მიხედვით; შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტი.

უმუშევართა რაოდენობის დადგენის ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: პირველი, უმუშევრობის მაჩვენებელი დგინდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე, რაც პერიოდულად ტარდება და მეორე, უმუშევრობის მაჩვენებელი შეიძლება დადგინდეს დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში უმუშევრის სტატუსის მოსაპოვებლად შემოსული განცხადებების საფუძველზე.

უმუშევრობის ხანგრძლივობა - ეკონომიკურად აქტიური ადამიანის უმუშევრად დარჩენის პერიოდი შეიძლება იყოს სხვადასხვა. ყველაზე ხანმოკლეა ფრიქციული უმუშევრობა, რომელიც, როგორც წესი, შეიძლება რამდენიმე კვირა ან თვე გაგრძელდეს. ფრიქციულთან შედარებით, უფრო ხანგრძლივია სტრუქტურული უმუშევრობა, რომელიც შეიძლება ერთ წლამდეც კი გაგრძელდეს. რაც შეეხება ციკლურ უმუშევრობას, იგი საზოგადოებისთვის მეტად არასასურველ მოვლენას წარმოადგენს. მას მეორენაირად გრძელვადიან ანუ ქრონიკულ უმუშევრობასაც უწოდებენ, ამ დროს უმუშევრად ყოფნის პერიოდი 1-3 წელს ან უფრო მეტ ხანს გრძელდება.

უმუშევრობის დონე - უმუშევრობის მდგომარეობის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული უმუშევრობის დონე. იგი გაიანგარიშება, როგორც უმუშევართა რაოდენობის შეფარდება სამუშაო ძალის ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან.

უმუშევრობის დონე (%) = უმუშევართა რაოდენობა/სამუშაო ძალის რაოდენობა X 100%

$$U_d=U_r/S_r\times100$$

უმუშევრობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისას შეიძლება გამოიყოს და დახასიათდეს სხვადასხვა მაჩვენებლები. მაგალითად, ქალთა რამდენი პროცენტია უმუშევარი, შრომისუნარიან მამაკაცთა რამდენი პროცენტია სამსახურის გარეშე დარჩენილი, ასევე რა ასაკის მოსახლეობაში დგას უფრო მწვავედ უმუშევრობის პრობლემა და ა.შ. ამგვარადვე შეიძლება გაანალიზდეს **უმუშევრობის პროფესიულ-კვალიფიციური** და **დარგობრივ-ტერიტორიული სტრუქტურა** (მაგ: რომელი პროფესიის ადამიანებს უფრო უჭირთ სამსახურის პოვნა, კონკრეტული ქვეყნის რომელ რეგიონშია უმუშევრობის დონე უფრო მაღალი და სხვ.).

შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზისთვის ხშირად გამოიყენება **შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტი**. იგი გვიჩვენებს ერთ ვაკანტურ სამუშაო ადგილზე უმუშევრების რაოდენობას (გაიანგარიშება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით ვაკანტური ადგილების რაოდენობასთან). ამ კოეფიციენტის გაანგარიშების საფუძველია თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და უმუშევრების რაოდენობის შესახებ არსებული მონაცემები. შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტის მიხედვით შეიძლება მსჯელობა უმუშევრობის ხანგრძლივობისა და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ დადგენილი სტანდარტებით. აღნიშნული ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, სწორეს ამ სტანდარტებით სარგებლობენ:

1. **ეკონომიკურად აქტიური** - 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომელიც გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოში ხვდება (დასაქმებულებისა და უმუშევრების ჯამი).

2. **დასაქმებული** (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე, ერთი საათი მაინც, შემოსავლის მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

3. **დაქირავებული** - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების მიღების მიზნით. აგრეთვე, პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო.

4. **თვითდასაქმებული** - მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით. აგრეთვე, ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

5. **უმუშევარი** - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.

6. **ეკონომიკურად არააქტიური** - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში (ერთი საათითაც კი) და არ ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში. აგრეთვე, პირი, რომელიც ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამუშაოს მოძებნის შემთხვევაში არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

უმუშევრობის არსი და სახეები

ეკონომისტთა განმარტებით, **უმუშევრობა არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა რომელიც ახასიათებს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც ნებით ან იძულებით მოკლებულნი არიან მუშაობის შესაძლებლობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტების მიხედვით, უმუშევრად მოიაზრება „15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტამდე 7 დღის პერიოდში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის

განმავლობაში.[1]“ დაახლოებით ამგვარ განმარტებას გვთავაზობს ევროსტატიც, რომლის თანახმად, უმუშევრად მოიაზრება ადამიანი, რომელსაც საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა სამსახური, მზად იყო მუშაობის დასაწყებად საანგარიშო პერიოდის მომდევნო 2 კვირის განმავლობაში და წინამდებარე 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამსახურს.[2]

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკის გარდაუვალ თვისებას წარმოადგენს უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობა ქვეყნის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის (წონასწორობის დარღვევა შრომის ბაზარზე, რაც თავის მხრივ, არა ერთ მაკროეკონომიკურ ცვლადზე ახდენს გავლენას) ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია. ამ მოვლენას ეკონომისტები უწოდებენ „უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.“ უმუშევრობა ზემოთ ხსენებულ მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას იწვევს სწორედ მაშინ, როდესაც ფაქტობრივი უმუშევრობის დონე დადგენილ ბუნებრივ ზღვარს (უმუშევრობის ბუნებრივ დონეს) აღემატება. უმუშევრობის ბუნებრივი დონის უფრო ღრმა ანალიზისთვის, თავდაპირველად საჭიროა ჩამოვაყალიბოთ და განვმარტოთ უმუშევრობის სახეები.

უმუშევრობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. მის დაყოფას კატეგორიებად, საფუძვლად უდევს მისივე გამომწვევი მიზეზების სხვადასხვაობა.

უმუშევრობის თეორიამ თავისი განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. განსხვავებულად ჰყოფდნენ უმუშევრობის სახეებს კეინზამდელ და კეინზის შემდგომ პერიოდებში. მაგაითად, კეინზამდელ პერიოდში, როდესაც მსოფლიოში გაბატონებული იყო კლასიკური ეკონომიკური მოძღვრება, გამოიყოფოდა უმუშევრობის შემდეგი სახეები: დროებითი უმუშევრობა, სეზონური უმუშევრობა, ციკლური უმუშევრობა და სტრუქტურული უმუშევრობა. კლასიკოსთა აზრით, ნებისმიერი სახის უმუშევრობა, მათ შორის ციკლური და სტრუქტურული უმუშევრობაც კი, ატარებდა ნებაყოფლობით ხასიათს.

კეინზი, რა თქმა უნდა, არ იზიარებდა კლასიკოსთა აღნიშნულ შეხედულებას. იგი აღნიშნავდა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის ერთობლივი მიწოდება,

[1]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2016
[2]ევროსტატი, 2010 - https://bit.ly/30HU3LW

რომელიც მზადაა იმუშაოს არსებული ხელფასის პირობებში, აღემატება შრომის ერთობლივ მოთხოვნას, წარმოიშობა „იძულებითი“ უმუშევრობა, რადგანაც „ მტკიცება იმისა, რომ უმუშევრობის მიზეზებს დეპრესიის პირობებში წარმოადგენს მომუშავეების ნებაყოფლობითი დათხოვნა, რომლებიც არ ეთანხმებიან ფულადი ხელფასის შემცირებას, ვერ პოულობს დამტკიცებას ფაქტებში.[1]“

დღეს-დღეობით, თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ უმუშევრობის შემდეგ ძირითად სახეებს: ფრიქციული, სტრუქტურული და ციკლური უმუშევრობა.

I. ფრიქციული უმუშევრობა - ფრიქციული უმუშევრობა არის მოკლევადიანი უმუშევრობა. იგი წარმოიშვება მაშინ, როცა ადამიანი თავისი ნებით ტოვებს სამსახურს და იწყებს სხვა სამსახურის ძებნას. მას, რა თქმა უნდა, ახალი სამსახურის საპოვნელად სჭირდება გარკვეული პერიოდი (როგორც წესი, ეს დრო არის საკმაოდ ხანმოკლე). ამ პერიოდს, სანამ ადამიანი ერთი სამუშაოს დატოვების შემდეგ იპოვის მეორეს, ეწოდება ფრიქციული უმუშევრობის პერიოდი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრიქციული უმუშევრობა არის ასევე ნებაყოფლობითი უმუშევრობა. უმუშევრობის აღნიშნულ სახეს მიეკუთვნებიან ასევე ადამიანები, რომლებიც პირველად გადიან შრომის ბაზარზე, ან უბრუნდებიან მას.

ფრიქციული უმუშევრობის წარმოშობა დაკავშირებულია შრომის ბაზარზე ინფორმაციის ეფექტიანად გავრცელების ნაკლოვანებებთან. ამ დროს უმუშევრები და დამსაქმებლები, რომლებიც ფლობენ ვაკანსიებს, მაშინვე ვერ პოულობენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ფრიქციულ უმუშევრობას ადგილი აქვს მაშინაც, როცა ეკონომიკაში შრომაზე მოთხოვნა და შრომის მიწოდება ერთმანეთს უტოლდება.

„ფრიქციული უმუშევრობა ეკონომიკაში სამუშაო ადგილების ნაკლებობით არ არის გამოწვეული... უმუშევრობის აღნიშნული სახე გამოწვეულია ინფორმაციის ნაკლებობით, რომელსაც ფლობს დამსაქმებელი და ადამიანი, რომელიც ეძებს სამუშაოს. თუკი არსებობს გზა იმისა, რომ შრომის ბაზარზე გაუმჯობესდეს

[1] **კეინზი, ჯ. მ.** *დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია.* ქუთაისი, 1995

საინფორმაციო სისტემა, მაშინ ეს საგრძნობლად შეამცირებს ფრიქციული უმუშევრობის დონეს.“[1]

II. სტრუქტურული უმუშევრობა - სტრუქტურული უმუშევრობა, ფრიქციულისგან განსხვავებით უფრო ხანგრძლივია. ამგვარი უმუშევრობის დროსაც (ისევე, როგორც ფრიქციულის დროს) შრომის ბაზარზე არის ვაკანტური სამუშაო ადგილები, თუმცა ამ დროს არსებობს სერიოზული შეუსაბამობა იმასთან დაკავშირებით თუ რა სჭირდება კომპანიას და რას სთავაზობს მუშაკი მას.

სტრუქტურული უმუშევრობის ძირითადი გამომწვევი ფაქტორი არის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრები. „მას კიდევ უფრო აძლიერებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ტექნოლოგიების განვითარება, კონკურენციის გაძლიერება და სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.[2]“

ფრიქციულისგან განსხვავებით, სტრუქტურული უმუშევრობა არის არა ნებაყოფლობითი, არამედ იძულებითი. ამ შემთხვევაში ადამიანები სამუშაოს კარგავენ და შემდგომში უჭირთ მათ მისი ახლიდან პოვნა, ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების გამო.

როგორც ზემოთ მოცემული განმარტებებიდან ვხედავთ, ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკისთვის სრულიად ბუნებრივ მოვლენებს წარმოადგენს. ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა შეიძლება წარმოიშვას მაშინაც კი, როდესაც შრომის ბაზარი სრული წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **უმუშევრობის ბუნებრივი დონე**, სწორედ, ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამის ტოლია.

„უმუშევრობის ბუნებრივი დონის სხვანაირი სახელწოდებაა სრული დასაქმების შესაბამისი უმუშევრობის დონე. სრული დასაქმება, ამ შემთხვევაში, პირობითი ცნებაა და გულისხმობს მდგომარეობას, რომლის დროსაც ადგილი არ აქვს იძულებით უმუშევრობას, თუმცა არსებობს უმუშევრად დარჩენილი სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილი. საქმე ისაა, რომ, გავრცელებული განმარტების თანახმად, წონასწორობის პირობებში, როდესაც შრომაზე მოთხოვნა და შრომის მიწოდება ერთმანეთს ემთხვევა,

[1]Frictional Unemployment – Definition, Causes and Cure - https://goo.gl/8oHyX4
[2]Structural Unemployment – Definition, Causes and Cure- https://goo.gl/LfzW3f

უმუშევრობის არსებობა განპირობებულია არა ეკონომიკის „ცუდი“ მუშაობით, არამედ ეკონომიკისთვის თანმდევი სხვა ობიექტური გარემოებებით, მათ შორის იმით, რომ წონასწორული რეალური ხელფასი სამუშაო ძალის ნაწილისთვის მიუღებელია. ამიტომ შრომის ბაზრის წონასწორობა განიხილება, როგორც სრული დასაქმების მდგომარეობა.“[1]

უმუშევრობის ბუნებრივი დონის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, მაგალითად: ეკონომიკური ზრდის ტემპები, დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები, ქვეყნის ემიგრაციულ-იმიგრაციული მდგომარეობა, სამუსაო ძალის სტრუქტურის ცვლილება, პროპკავშირების საქმიანობა და ა.შ. რდგან ზემოთ მოცემული მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ყველა ქვეყანას განსხვავებული უმუშევრობის ბუნებრივი დონე გააჩნია. მეტიც, ქვეყანაში, წლების განმავლობაში, ხშირად იცვლება აღნიშნული მაჩვენებელი შეცვლილი პირობებიდან გამომდინარე.

საქართველოში ბუნებრივი უმუშევრობის დონის ამსახველი რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული მაჩვენებელი არსებობს, თუმცა ავტორთა უმეტესი შეფასება ემყარება გარკვეულ ვარაუდებს და არა რაიმე დასაბუთებულ მეთოდიკას.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით ყველაზე მისაღებია 2012 წელს მომზადებული კვლევა - „შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში“ (კვლევა განხორციელდა ლტოლვილთა დანიის საბჭოს პროექტის ფარგლებში, ევროპის კავშირის ფინანსური მხარდაჭერით). მასში ავორის მიერ (პუბლიკაციის აღნიშნული ნაწილი მომზადებულია პროფესორ ი. ანანიაშვილის მიერ) განხილულია უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება.

ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების პირობებში საქართველოში 1997-2008 წლებში უმუშევრობის ბუნებრივი დონის გრძელვადიანი მნიშვნელობა - u*, დაახლოებით 9,1 %-ს შეადგენდა. ამ შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ 1997-2008 წლებში საქართველოს შრომის ბაზრის ფაქტობრივი მდგომარეობა მისი ბუნებრივი, ანუ გრძელვადიანი

[1]შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი,“ 2012, გვ. 41.

მდგომარეობიდან მნიშვნელოვნად გადახრლი იყო, რაც უარყოფითად აისახებოდა ეკონომიკურ ზრდაზე და ქვეყნის კეთილდღეობაზე.“[1]

III. ციკლური უმუშვრობა - ციკლური უმუშევრობა გამოწვეულია ეკონომიკის იმ ციკლით, რომელიც ხასიათდება საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის კლებით. ამ დროს, მოთხოვნის კლების პარალელურად ეცემა წარმოების დონე, იზრდება კომპანიებიდან გამოთავისუფლებულთა რიცხვი, შესაბამისად მკვეთრად იზრდება უმუშევრობის დონეც. სწორედ ასეთ უმუშევრობას ეწოდება ციკლური უმუშევრობა.

„როდესაც საქმიანი ციკლი თავის პიკში იმყოფება (დადებითი თვალსაზრისით), ციკლური უმუშევრობა არის ძალიან დაბალი, რადგან ეკონომიკის მთლიანი გამოშვება არის მაქსიმალური. როდესაც ეკონომიკის მთლიანი გამოშვება ეცემა, საქმიანი ციკლი არის დაბალი და ციკლური უმუშევრობა, შესაბამისად - მაღალი. ციკლური უმუსევრობა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდება. ყველაზე ცნობილი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების „დიდი დეპრესია,“ რომლის დროსაც ადამიანები წლობით იყვნენ უმუშევრები.“[2]

ციკლური უმუშევრობა გულისხმობს უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან მკვეთრ გადახრას, რომლის დროსაც ადამიანები არიან იძულებით უმუშევრები და ეკონომიკა კარგავს ოპტიმალური მოცულობის შემოსავლებს. „ამ მოვლენის სიღრმისეულად გაანალიზებამ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი არტურ ოუკენი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უმუშევრობის ფაქტიური დონე რამდენი პროცენტითაც აღემატება მის ბუნებრივ დონეს, იმდენ 2,5 პროცენტს შეადგენს დანაკარგი, ანუ უწარმოებელი პროდუქცია. ამის მიხედვით, უმუშევრობის ფაქტიური დონის გარდამეტი მის ბუნებრივ დონეზე ისე შეეფარდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დანაკარგს, როგორც 1:2,5.“[3] აღნიშნულს ეწოდება **ოუკენის კანონი** და ამ პროცესის შედეგად მთლიანი შიდა პროდუქტის დანაკარგები გამოითვლება ამავე სახელწოდების ფორმულით.

---

[1]შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი,“ 2012, გვ. 54.

[2]Cyclical Unemployment – Definition, Causes and Cure - https://goo.gl/5URKTs

[3]**ჩიქავა, ლ.** (2012). *დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში.*თბილისი,გამომცემლობა "უნივერსალი," გვ. 73.

1.2. უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმუშევრობა მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ეკონომიკურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უმუშევრობის, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური შედეგების ანალიზს. უმუშევრობა აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. უმუშევრობის ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის აღსანიშნავია: მატერიალური დოვლათის დიდძალი დანაკარგები, შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, ინტენსიური გარე შრომითი მიგრაცია, ინფლაციის ზრდა, დემოგრაფიული ვითარების გამწვავება, მუშაკთა დეკვალიფიკაცია, ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა.[1]

1. მატერიალური დოვლათის დანაკარგები - მატერიალური დოვლათის დანაკარგს სხვანაირად უწარმოებელ საქონელსა და მომსახურებას უწოდებენ. აქედან გამომდინარე, უმუშევრობა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას. რაც უფრო დიდია უმუშევრობის დონე, მით მეტია მატერიალური დოვლათის დანაკარგები და მით უფრო მეტად მცირდება მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP). პირველად უმუშევრობა და მის მიერ გამოწვეული დანაკარგები ერთმანეთთან დააკავშირა ოუკენმა. მისი დასკვნით ფაქტობრივი უმუშევრობის დონის გადახრა ყოველი ერთი პროცენტით უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან, იწვევს GDP-ის შემცირებას 2,5 პროცენტით.

2. შემოსავლების დანაკარგები - როგორც ვიცით უმუშევრობა შემოსავალს აკარგვინებს, როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე სახელმწიფოს ბიუჯეტსაც. იქიდან გამომდინარე, რომ შემოსავლის გარკვეული ნაწილი იბეგრება, უმუშევრობის დონის ზრდამ სახელმწიფოს შეიძლება საკმაოდ დიდი თანხები დააკარგვინოს. სახელმწიფოს დანაკარგების გამოთვლა შემდეგნაირად შეგვიძლია: ქვეყანაში საშუალო ხელფასს გავამრავლებთ უმუშევართა რაოდენობაზე და გამოვითვლით მიღებული რიცხვის 20 %-ს (ვინაიდან საქართველოში საშემოსავლო გადასახადი, სწორედ, 20 %-ია).

---

[1] **ჩიქავა,ლ.** (2012). *დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში.* თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი". გვ. 73-98

3. მასობრივი სიღარიბე - ხანგრძლივმა და მასობრივმა უმუშევრობამ შეიძლება მიგვიყვანოს ზოგადად ქვეყნის გაღარიბებამდე. ეს იმიტომ, რომ უმუშევრობის მაღალი დონე ეხება არა მარტო კონკრეტულ ინდივიდებს ან მათი ოჯახის წევრებს, არამედ მთლიანად ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რადგან იგი იწვევს ქვეყნის ეკონომიკის საერთო მაჩვენებლების გაუარესებას. მაგალითად, თუ უმუშევრობის დონე განსაკუთრებულად იზრდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო კარგავს საკმაოდ სოლიდურ შემოსავლებს. ამის გამო მან შეიძლება ვეღარ შეძლოს პენსიის გაზრდა, ან უარეს შემთხვევაში საერთოდ ვეღარ გადაიხადოს მისი გარკვეული ნაწილი. აგრეთვე, დიდი ზიანი შეიძლება მიადგეს სხვა სოციალური პროგრამების განხორციელებასაც.

4. გარე შრომითი მიგრაცია - მოსახლეობის მიგრაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა მიზეზებთან. მაგალითად: კვალიფიკაციის ამაღლება, განათლების მიღება, იძულებითი მიგრაცია (მაგ: ომის დროს) და ა.შ. მასობრივი მიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამომწვევი მიზეზია უმუშევრობა.

გარე შრომით მიგრაციას გააჩნია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მისი დადებითი მხარეებია:ამ დროს ქვეყანაში განიმუხტება მწვავე სოციალური ვითარება; მიგრირებული ადამიანი არჩენს არა მარტო თავის თავს, არამედ ოჯახსაც, რომელიც დატოვა სამშობლოში;მიგრაციაში მყოფ ადამიანთა გარკვეული ნაწილი იმაღლებს კვალიფიკაციას და შემდეგ, როდესაც სამშობლოში ბრუნდებიან, უფრო მარტივად პოულობენ სამსახურს და უფრო მეტად მწარმოებლურებიც ხდებიან.მიუხედავად ამისა, გარე შრომით მიგრაციას გააჩნია გაცილებით მეტი უარყოფითი მხარე. მაგალითად: მიგრაციაში მყოფი ადამიანი შეიძლება საერთოდ ვეღარ დაბრუნდეს სამშობლოში (მითუმეტეს თუ არალეგალურად იმყოფება საზღვარგარეთ); ხშირად მათ უმრავლესობას უწევს არა თავიანთი სპეციალობით, არამედ არაპრესტიჟულ, დამამცირებელ სამუშაოზე მუშაობა, რაც თავისთავად, აგრეთვე იწვევს ემიგრანტთა დეკვალიფიკაციას; ხშირად ირღვევა მათი უფლებები, რასაც ხმამაღლა ვერ აცხადებენ არალეგალობის გამო; იზრდება ტრეფიკინგის საფრთხე და ა.შ.

5. დემოგრაფიული მდგომარეობის გამწვავება - თუ გავითვალისწინებთ გარკვეულ ასპექტებს, დავინახავთ, რომ უმუშევრობასა და ქვეყნის დემოგრაფიულ

განვითარებას შორის არსებობს მკაფიო დამოკიდებულება. უმუშევრობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ იწვევს სიღარიბეს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იწვევს დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას. მაგალითად, სიღარიბე ობიექტური მიზეზების გამო აფერხებს ახალგაზრდების დაქორწინებას, იზრდება მიგრანტთა რაოდენობა, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს ქორწინებათა რიცხვს. სიღარიბის ზრდა მოქმედებს მოკვდაობაზეც. ადამიანი, რაც უფრო კარგად იკვებება, ცხოვრობს კომფორტულ ბინაში, ისვენებს კულტურულად და ა.შ., მით უფრო ჯანმრთელია და მოკვდაობაც, შესაბამისად, დაბალია.

6. ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა - სპეციალისტთა დასკვნით, უმუშევრობა ძალიან დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას (უარყოფითი თვალსაზრისით) ახდენს ადამიანზე და მისი ოჯახის წევრებზე. უმუშევარი, მითუმეტეს თუ ის არის ოჯახის მარჩენალი, მუდმივად განიცდის ფსიქოლოგიურ სტრესს, უჩნდება არასრულფასოვნების განცდა და ფიქრობს იმაზე, რომ იგი საზოგადოებისთვის არის ზედმეტი.

7. შრომისუნარიანი მოსახლეობის დეკვალიფიკაცია - უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები სოციალურ-ეკონომიკური შედეგი არის ის, რომ იგი იწვევს მუშაკთა დეკვალიფიკაციას. უმუშევრობის პერიოდში ადამიანს არა მარტო არ ემატება ახალი ცოდნა და გამოცდილება, არამედ ისიც ავიწყდება რაც იცოდა, ამიტომ თუ სახელმწიფომ არ იზრუნა მის გადამზადებაზე, იგი ვეღარ შეასრულებს თავის საქმეს ისე, როგორც ასრულებდა ადრე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უმუშევრობას გააჩნია გარკვეული თანმდევი მოვლენები, რომლებიც ცალსახად უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე და ზოგადად საზოგადოებაზე. მაგალითად, უმუშევრობა ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკისთვის ქმნის ხელსაყრელ გარემო-პირობებს. ადამიანთა უმეტესობა ხდება თვითდასაქმებული, აქვს მცირე შემოსავალი, თუმცა გადასახადების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო ორგანოებისგან ფარულად აწარმოებს თავის საქმიანობას.

აგრეთვე, ხანგრძლივი უმუშევრობა ხშირად იწვევს საზოგადოებაში კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებას. როგორც კვლევებით დასტურდება, დამნაშავეთა დიდი ნაწილი, სწორედ უმუშევართა რიგებიდანაა.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობას ამდენი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოაქვს, მას ასევე გააჩნია გარკვეული დადებითი მხარეებიც. როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, უმუშევრობა ხელს უწყობს სამუშაო ძალის ე.წ. „რეზერვის“ ფორმირებას, რაც გარკვეული მანევრირების შესაძლებლობას იძლევა ახალი ტიპის სამუშაო ადგილების გაჩენის შემთხვევაში. საბოლოოდ, **უმუშევრობის დადებითი თვისებები** შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: (1)სამუშაო ძალის რეზერვის ფორმირება; (2)დასაქმებულებს შორის კონკურენციის ზრდა; (3)იზრდება შრომის მწარმოებლურობის დონე; (4)ადამიანს, ამ დროს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, დასვენებისთვის და გართობისთვის; (5)ხელს უწყობს მომუშავეთა, როგორც კვალიფიციური, ასევე ტერიტორიული მობილობის დონის გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ „უმუშევრობას ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი ფუნქციების შესრულება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ფაქტიური დონე საზოგადოებრივად დასაშვებ „ბუნებრივ დონეს“ უახლოვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასობრივი უმუშევრობა, განსაკუთრებით თუ იგი დიდი ხნის მანძილზე გრძელდება, დამანგრევლად მოქმედებს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.“[1]

[1]**თორია, მ**. (2006). *შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა.*თბილისი, გამომცემლობა: „უნივერსალი“.

1.3. უმუშევრობის თეორიები

უმუშევრობის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელობანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის კვლევა, რამდენიმე საუკუნის წინ დაიწყო. სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის მიმდევარი, რა თქმა უნდა, განსხვავებულად ხსნის ამ მოვლენას. განვიხილოთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები.

ზოგადად, შრომის ბაზრის ბუნების შესახებ მეცნიერულ კვლევას საფუძველი ჩაეყარა კლასიკური თეორიის ფუძემდებლების ა. სმიტის, დ. რიკარდოს, ჟ. სეის და სხვათა ნაშრომებში.

ა. სმიტმა (1723-1790) საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური ლიბერალიზმის დოქტრინას. მან შეიმუშავა „ბაზრის უხილავი ხელის“ და „ეკონომიკური ადამიანის“ პრინციპები (ნაშრომი - „გამოკვლება ხალხთა სიმდიდრის, ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ - 1776). მისი აზრით, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, პირადი ინტერესების რეალიზაცია ხდება „უხილავი ხელის“ მეშვეობით. ამგვარად, სმიტი აკეთებს დასკვნას, რომ არ არსებობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის არანაირი მიზეზი, რადგან ყოველივე „უხილავი ხელის“ მეშვეობით რეგულირდება და ხელისუფლების ჩარევამ შეიძლება პირიქით გაზარდოს უმუშევრობის დონე. კლასიკოსები გამოყოფდნენ უმუშევრობის შემდეგ სახეებს: დროებითი უმუშევრობა, სეზონური უმუშევრობა, ციკლური უმუშევრობა და სტრუქტურული უმუშევრობა. მათი აზრით, ნებისმიერი სახის უმუშევრობა, მათ შორის ციკლური და სტრუქტურული უმუშევრობაც კი, ატარებდა ნებაყოფლობით ხასიათს.

ნეოკლასიკოსები - ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლები კაპიტაკიზმს მიიჩნევდნენ თვითრეგულირებად ეკონომიკურ სისტემად, სადაც სრული დასაქმება ნორმას წარმოადგენს. მათი აზრით, უმუშევრობა არის ეკონომიკური წონასწორობის მოკლევადიანი და შემთხვევითი დარღვევა. ისინი უმუშევრობის წარმოშობას უკავშირებენ ისეთ ძალებს, რომლებიცხელსუშლიანრეალური ხელფასის იმ დონის მიღწევას, რომელიც აუცილებელია სრული დასაქმების შენარჩუნებისათვის. ასეთ ძალებად, როლებიც ხელს უშლიან ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას, ისინი თვლიდნენ სახელმწიფოს, რომელიც ადგენს ხელფასის

მინიმალურ დონეს და პროფკავშირებს, რომელთა საქმიანობაც ხელფასის დონის შემცირების წინააღმდეგაა მიმართული.

ნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებელი, **ა. მარშალი** (1842-1924), მიიჩნევდა, რომ წონასწორობა შრომის ბაზარზე ანუ შესაბამისობა სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის დაკავშირებულია ხელფასის წონასწორობით განაკვეთთან. მარშალი, ისევე, როგორც ნეოკლასიკური თეორიის სხვა წარმომადგენლები, თვლიდა, რომ ხელფასის მაღალი განაკვეთი ამცირებს დასაქმებას და ზრდის უმუშევრობას.

მარშალის თანამოაზრე იყო **ა. პიგუ** (1877-1955), რომელმაც თავის ნაშრომში - „უმუშევრობის თეორია“, ჩამოაყალიბა დასაქმების კლასიკური თეორიის ძირითადი დებულებები. მისი აზრით, შრომის ბაზარზე მოქმედებს არასრულყოფილი კონკურენცია, რაც განაპირობებს შრომის ფასის ცვლილებას. იგი თვლიდა, რომ ხელფასის შემცირებას შეუძლია დასაქმების სტიმულირება. ამიტო, პიგუ პროფკავშირებს მოუწოდებდა, რომ აქტიურად არ ებრძოლათ ხელფასის გადიდებისთვის, რადგან ეს უმუშევრობის ზრდის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო.

„**კეინზის** ნაშრომი - „დასაქმების პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ გამოქვეყნდა 1936 წელს და იგი ერთგვარი რეაქცია იყო იმ უმწვავეს ეკონომიკურ კრიზისზე, რომელიც აშშ-ში განვითარდა 1929-33 წლებში ე.წ. „დიდი დეპრესიის“ სახით. კრიზისმა ღრმა ეჭვის ქვეშ დააყენა არა მხოლოდ კლასიკოსების რწმენა კაპიტალისტური თვითრეგულირებადი ბაზრის ყოვლისშემძლეობის შესახებ, არამედ თავად კაპიტალისტური სისტემის არსებობაც.კეინზმა დაასაბუთა კრიზისიდან გამოსვლის გზა ეკონომიკის ფუნფციონირებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევით. კეინზისთეორიაზე დაყრდნობით, აშშ-ს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, რუზველტმა, განახორციელა ეკონომიკური პოლიტიკა „ახალი კურსის“ სახელწოდებით და შეძლო დიდი დეპრესიიდან თავის დაღწევა“.[1]

კეინზი და მისი მიმდევრები გამორიცხავდნენ ფასებისა და ხელფასების ელასტიკურობის საშუალებით უმუშევრობის აღმოფხვრას. მათი აზრით, კაპიტალიზმის დროს არ არსებობს სრულყოფილი კონკურენცია, ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია არასრულყოფილ კონკურენციას, რომელიც ხელს

[1]**მექვაბიშვილი, ე.** *თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები.* თბილისი, 2012

უშლის ფასებისა და ხელფასების შემცირების ტენდენციას. კეინზი, რა თქმა უნდა, არ იზიარებდა კლასიკოსთა შეხედულებებს. იგი აღნიშნავდა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის ერთობლივი მიწოდება, რომელიც მზადაა იმუშაოს არსებული ხელფასის პირობებში, აღემატება შრომის ერთობლივ მოთხოვნას, წარმოიშობა „იძულებითი“ უმუშევრობა, რადგანაც „ მტკიცება იმისა, რომ უმუშევრობის მიზეზებს დეპრესიის პირობებში წარმოადგენს მომუშავეების ნებაყოფლობითი დათხოვნა, რომლებიც არ ეთანხმებიან ფულადი ხელფასის შემცირებას, ვერ პოულობს დამტკიცებას ფაქტებში.[1]“

საბოლოოდ, კეინზის ძირითადი დასკვნები დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- ✓ საბაზრო ეკონომიკა არ წარმოადგენს თვითრეგულირებად სისტემას, საბაზრო წონასწორობის მიღწევის პირობებშიც შესაძლებელია უმუშვრობის გარკვეული დონით არსებობა;
- ✓ საბაზრო სისტემაში სასურველია სრული დასაქმების მიღწევა, რაც არ გულისხმობს შრომისუნარიანი მოსახლეობის 100%-ით დასაქმებას. სრული დასაქმება შეესაბამება შრომისუნარიანი მოსახლეობის 96-97%-ის ჩართვას შრომით საქმიანობაში;
- ✓ საბაზრო ეკონომიკაში არ არსებობს მექნიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას ყველა პირობებში. შესაბამისად აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს სისტემატური ჩარევა სრული დასაქმებისა და პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის მისაღწევად.

1974-1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა დაადასტურა, რომ კეინზის თეორიის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციებით საბაზრო ეკონომიკის რეგულირება არაეფექტიანი გახდა. კეინზიანური თეორია გააკრიტიკეს **მონეტარისტებმა**. მონეტარისტული მიდგომის თანახმად, რომლის ფუძემდებელიც არის **მილტონ ფრიდმანი** (1912-2006), საბაზრო კონკურენციის სისტემა უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მაღალ დონეს. მონეტარიზმის იდეა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას ეფუძვნება. აღნიშნული თეორიის მიმდევრების თვალსაზრისით,

[1] **კეინზი, ჯ. მ**. *დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია.* ქუთაისი, 1995

ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა კეთილი ზრახვების მიუხედავად, ხელს უშლის მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

ფრიდმანის აზრით, ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზია სრული დასაქმებისკენ სწრაფვა. ყოველთვის, როცა უმუშევრობა იზრდება, მთავრობა თავის მოვალეობად თვლის რაღაც მოიმოქმედოს და იწყებს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას. მისი აზრით არსებობს უმუშევრობის რაღაც გარდაუვალი (ანუ ბუნებრივი უნუშევრობის) პროცენტი (5-6%), რომლისკენაც სპონტანურად მიისწრაფვის მთელი ეკონომიკა. მთავრობის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია უმუშევრობის შესამცირებლად (ამ მიზნით საბიუჯეტო ხარჯების გაზრდა), იწვევს ინფლაციის გაძლიერებას.

თავიII: უმუშევრობა საქართველოში

2.1. უმუშევრობის ზოგადი ანალიზი საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წლის 17 მაისს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით 2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2017 წელთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.7 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება, ამასთან უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს.

ნახაზი 1.1. უმუშევართა დონე საქართველოში, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 17.05.2019

რაც შეეხება 2019 წლის პირველ კვარტალს, ამ პერიოდში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამისპერიოდთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.8 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2019 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონე, წინა, 2018 წლის მეოთხე კვარტალთან

შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს სრულიად ბუნებრივად, ვინაიდან, როგორც ვიცით, მეოთხე კვარტალი ეკონომიკურად, ზოგადად, უფრო მეტი აქტიურობით ხასიათდება, ვიდრე პირველი კვარტალი. აღნისნული მონაცემები გრაფიკულად ასე გამოიყურება:

ნახაზი 1.2. უმუშევრობის დონე საქართველოში კვარტლების მიხედვით, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 20.05.2019

2018 წელს დაქირავებულთა წილი დასაქმებულებში 50.8 პროცენტს შეადგენდა, რაც 2.5 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თვითდასაქმებულთა კლების ტენდენცია ფიქსირდება და პირველად 2018 წელს დაქირავებულთა რაოდენობამ გადააჭარბა თვითდასაქმებულებს.

ნახაზი 1.3. დასაქმებულთა განაწილება, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 17.05.2019

2019 წლის I კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50.3 პროცენტს შეადგენდა, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. წინა კვარტალთან შედარებით კი აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 1,0 პროცენტით. 2018 წლის მეოთხე კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 51.3 პროცენტი იყო.

ნახაზი 1.4. დასაქმებულთა განაწილება კვარტლების მიხედვით, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 20.05.2019

რაც შეეხება იმას, თუ როგორ განსხვავდება უმუშევრობის დონე სასოფლო და საქალაქო დასახლებებს შორის: უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2018 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში 3.5 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო სასოფლო დასახლებებში გაზრდილია 0.7 პროცენტული პუნქტით.

ნახაზი 1.5. უმუშევრობის დონე ქალაქ სოფლის ჭრილში, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 17.05.2019

აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წლის I კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში 2.6 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო სასოფლო დასახლებებში გაზრდილია 0.2 პროცენტული პუნქტით.

ნახაზი 1.6. უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში კვარტლების მიხედვით, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 20.05.2019

წინა წელთან შედარებით 2018 წელს უმუშევრობის დონე შემცირებულია თბილისის, აჭარის, იმერეთის და გურიის რეგიონებში. ქ. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, აღნიშნული მაჩვენებელი 5.9 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო აჭარის და იმერეთის რეგიონებში, შესაბამისად 1.8 და 1.6 პროცენტული პუნქტებით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად გაზრდილია სამეგრელო-ზემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, შესაბამისად 3.3 და 1.9 პროცენტული პუნქტებით.

ნახაზი 1.7. უმუშევრობის დონის ცვლილება 2018 წელს 2017 წელთან მიმართებაში, რეგიონების მიხედვით, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 17.05.2019

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.7 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს 2017 წელთან შედარებით ქალებში შემცირდა 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.1 პროცენტული პუნქტით.

ნახაზი 1.8. უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 17.05.2019

2019 წლის I კვარტალში უმუშევრობის დონე კაცებში 3.9 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალებში შემცირდა 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.9 პროცენტული პუნქტით.

ნახაზი 1.9. უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში კვარტლების მიხედვით, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 20.05.2019

აქტიურობის დონე შედარებით მაღალია კაცებში. 2018 წელს ქალებში აქტიურობის დონე 55.6 პროცენტს, ხოლო კაცებში - 73.6 პროცენტს შეადგენდა. 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით აქტიურობის დონე ქალებში შემცირებულია 2.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.0 პროცენტული პუნქტით.

ნახაზი 1.10. აქტიურობის დონე სქესობრივ ჭრილში, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 17.05.2019

გამოკვლევის შედეგების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2018 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე კვლავ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება (30.8პროცენტი), ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში, რომლის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში არააქტიურობის დონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი.

ნახაზი 1.11. უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჭრილში, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 17.05.2019

ზოგადი წარმოდგენისთვის უმუშევრობის დონე ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე. აღნიშნული მომზადებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. როგორც ნახაზზე ვხედავთ, უმუშევრობის დონე საქართველოში უფრო მაღალია ვიდრე ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, თუმცა არის გამონაკლისებიც: უმუშევრობის დონე საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე, მაგალითად, ესპანეთში, საბერძნეთში და ჩრდილოეთ მაკედონიაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, საბერძნეთსა და ჩრდილოეთ მაკედონიაში უმუშევრობის დონე 20.0 პროცენტს აჭარბებს.

ნახაზი 1.12. უმუშევრობის დონე ქვეყნების მიხედვით, 2018



წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

უმუშევრობაზე საუბრისას კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ეკონომისტები ყურადღებას აქცევენ, შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონეა. განათლება საუკეთესო ინვესტიციად მოიაზრება კვალიფიციური და კარგად ანაზღაურებადი შრომის ბაზრის ფორმირებისთვის. გზა, რომლითაც განათლება ადამიანების ეკონომიკურ იუნკლუზიას უზრუნველყოფს არის მათი ცოდნის გაფართოება და უნარების განვითარება, ეკონომიკაში პროდუქტიული მონაწილეობისთვის (OECD, 2016).

ადამიანური კაპიტალის თეორია ერთ-ერთი მთავარია განათლების ეკონომიკაში. მისიმთავარი პოსტულატია, რომ ადამიანური კაპიტალი ეკონომიკური ზრდის ცენტრალური ფაქტორია, კერძოდ, ადამიანური კაპიტალის მიერ წარმოებული პროდუქტი თვითუზრუნველმყოფი ეკონომიკური ზრდის საფუძველია. შესაბამისად, მჭიდრო და პოზიტიური კავშირი არსებობს განათლებასა და ეკონომიკას შორის, როგორც მაკრო (ქვეყნის, საზოგადოების), ასევე მიკრო (პირად, ინდივიდუალურ) დონეებზე[1].

[1] World Bank, 2008.

როგრც ცნობილია, 2005 წელს საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა, ხოლო 2013 წელს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) აფილირებული წევრიც გახდა. როგორც ბოლონიის პროცესის, ასევე ENQA-სწევრობა, რიგ რეფორმებთან ერთად, ეროვნული განათლების სისტემის მიერ სტუდენტების კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების გაზრდის შესაძლებლობების უზრუნველყოფას გულისხმობს. მეტიც, ENQA-ს მიერ 2009 წელს შემუშავებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს აკადემიური მოსწრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად განსაზღვრავს. შესაბამისად, უმაღლესდამთავრებულთა დასაქმებისუნარიანობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ბოლონიის პროცესთან. ეროვნულ დონეზე უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის კონტექსტში, განათლების პოლიტიკური და ეკონომიკური განზომილებები ასახულია, როგორც საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, ასევე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-ში.

არა ერთი ემპირიული კვლევა ადასტურებს განათლებასა ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის არსებობას, როგორც მაკრო, ასევე მიკროეკონომიკურ დონეზე. მაკროეკონომიკაში, ზემოთ თქმულის განმამტკიცებელი ძირითადი არგუმენტია ის, რომ განათლებულ სამუშაო ძალას აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა, აწარმოოს ინოვაციური და უკეთესი პროდუქცია მრავალი განსხვავებული მიმართულებით. განათლების საფუძველზე უმჯობესდება დასაქმებულთა შრომის ხარსხი და, შესაბამისად, იზრდება წარმოების ეფექტიანობა, ხდება ტექნოლოგიური განვითარება. მაკროეკონომიკა ქვეყნის დონეზე სწავლობს კავშირს განათლების დონის სხვადასხვა საზომებს და ეკონომიკურ ზრდას შორის. განათლების ძირითად საზომს, თავდაპირველად, ფორმალური განათლების წლები წარმოადგენდა. ამჟამად, თანამედროვე განათლების ეკონომიკაში აქტიურად გამოიყენება ისეთი საზომი, როგორიც არის მიღწევები კოგნიტური უნარების ტესტებში. ეკონომიკური ზრდის სტანდარტული საზომი კი არის მშპ და მასთან დაკავშირებული საზომები[1]. მიკროეკონომიკურ დონეზე განიხილება კავშირი ინდივიდის საგანმანათლებლო

[1] OECD, 2016; Education and Economic Growth, n.d.

მიღწევებსა და განათლების ამონაგებს შორის. იგულისხმება, რომ რაც უფრო მაღალია ფორმალური განათლების დონე (მეტია ფორმალური განათლების წლები), მით უფრო მაღალია ინდივიდის ანაზღაურება და ფინანსური კეთილდღეობა[1]. თუმცა, თანამედროვე განათლების ეკონომიკა იმასაც ითვალისწინებს, რომ განათლება-ეკონომიკის კავშირი არ არის უნივერსალური ხასიათის, რასაც განაპირობებს ქვეყნების დონეზე ჰეტეროგენული განათლების სისტემები, განსხვავება მიწოდებულ განათლების ხარისხში და, შესაბამისად, სამუშაო ძალის შესაძლებლობა შექმნას ინოვაციური პროდუქტი და ადაპტირდეს ახალ ტექნოლოგიებთან, საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

განათლების ეკონომიკური ეფექტის კვლევა განსაკუთრებით საყურადღებო 1980-90-იანი წლებიდან გახდა, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სახელფასო უთანასწორობის გამო. განათლების ინდივიდუალური ამონაგების შეფასების საერთაშორისო კვლევების თანახმად, ფორმალური განათლების ყოველი დამატებითი წლის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ამონაგების მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი 10%-ით იზრდება[2]. საგულისხმოა, რომ ეკონომიკური ამონაგების ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების შემთხვევაში (10,9 და 10,7 შესაბამისად). მაღალი შემოსავლის ქვეყნების კოეფიციენტი 7,4-ს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე განათლების ამონაგების ოდენობა 0,6%-ით შემცირებულია, ვინაიდან მსოფლიოში გაიზარდა ფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და, შესაბამისად, ფორმალური განათლების წლების საშუალო მაჩვენებელი (განსაკუთრებით ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებში). ეს გარემოება განაპირობებს ადგილობრივ შრომის ბაზრებზე კონკურენციის გაძლიერებას არსებულ მოთხოვნაზე გადაჭარბებული ადამიანური რესურსის მიწოდების საფუძველზე და ასევე, დაბალშემოსავლიანი სამუშაო ადგილების გამრავლებას, რაც, თავის მხრივ, დაბლა წევს განათლების ინდივიდუალურ ფინანსურ ფინანსურ სარგებელსაც. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე მაღალი სუფთა ფინანსური სარგებელი უმაღლესი განათლების შემთხვევაში ვლინდება.

[1] OECD, 2016. გვ. 45-47 დაგვ. 114-153
[2] Psacharopoulos & Patrinos, 2004. გვ. 112

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ, 2017 წელს მოზადდა კვლევა: „უმაღლესი განათლების ამონაგების მიმართება შრომით ორიენტაციასა და კმაყოფილებასთან საქართველოში“. აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებო საკითხი.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით გამოკითხული რესპოდენტების მხოლოდ 33%-ს აქვს ანაზღაურებადი სამუშაო (ანაზღაურების მქონე თვითდასაქმებულების ჩათვლით). შესაბამისად, დაუსაქმებლების კატეგორიაში ხვდება გამოკითხულთა უმრავლესობა (67%). მათ შორის, ეკონომიკურად აქტიურია და სამსახურს ეძებს 37.5%, 23% პენსიონერია, 19% დაკავებული საოჯახო საქმეებით, 9.5% უმუშევარია და არ ეძებს სამუშაო ადგილს, 7% კი სწავლობს. თუ დასაქმების სტატუსს ფორმალური განათლების ჭრილში დავაკვირდებთ, დაუსაქმებელი რესპოდენტების რაოდენობა აღემატება დასაქმებულებისას გამოკითხულთა იმ ჯგუფში, რომელსაც ფორმალური განათლება საერთოდ არ მიუღია. უმუშევართა რაოდენობა ასევე მაღალია მხოლოდ სასკოლო (არასრულის ჩათვლით) განათლებისა და პროფესიული განათლების მქონე რესპოდენტების შემთხვევაშიც. უმაღლესი განათლების რესპოდენტებს შორის კი დასაქმებულტა და დაუსაქმებელთა რაოდენობა თითქმის თანაბარია.

ნახაზი 1.13. დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა განაწილება განათლების დონის მიხედვით, 2017



წყარო: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ მომზადებული კვლევა, 2017 წელი

საჯარო სექტორი დღეს წამყვანია საქართველოში დაქირავებით დასაქმების მიმართულებით და დაქირავებით დასაქმებულთა 75% სწორედ მასშია ჩართული, ხოლო 22% კერძო სექტორშია დასაქმებული. როგორც აღმოჩნდა, რესპოდენტების უმრავლესობა დასაქმებულია განათლების სფეროში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვაწყდებითუნარ-ჩვევების დეფიციტს ან ენობრივ ბარიერს სამუშაო ძალაში. ეს აჩენს ასაკობრივიდისკრიმინაციის პრობლემას საქართველოს შრომის ბაზარზე, ვინაიდან საბჭოთაგანათლებამიღებული სამუშაო ძალა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ უნარ-ჩვევებს,რომლებსაც კომპანიები პოტენციურ თანამშრომლებს უყენებენ. საკმაოდ ხშირადვაწყდებით ისეთ განცხადებებს ვაკანსიის თაობაზე, სადაც დისკრიმინაციულიმოთხოვნებია, მაგალითად, სამუშაოს დაწყების მსურველი კონკრეტული სქესის ანასაკისა უნდა იყოს. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი დისკრიმინაცია კანონმდებლობითრეგულირდება, რომლებიც საქართველოში არ მოქმედებს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებები: დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები (სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა), რაც საქართველოს ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით არის განპირობებული; მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი; მოქმედების შეზღუდული არეალი; ნაკლები ელასტიურობა; სამუშაო ძალის დაბალი მობილურობა; ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი; უმუშევრებში ახალგაზრდების მაღალი წილი; არაფორმალური დასაქმების დიდი წილი.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, უმუშევრობამ ქრონიკული ხასიათი შეიძინა და მისი დაძლევა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება გახდა. იგი მჭიდროდაა გადაჯაჭვული საბიუჯეტო-საგადასახო პოლიტიკასთან და ეკონომიკის სტრუქტურულ ძვრებთან.

საქართველოს ეკონომიკა 2003 წლიდან სტაბილურად იზრდება. ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნებულია თავისუფალი ბაზრის პრინციპზე და ორიენტირებულია კერძო სექტორის განვითარებაზე. მიუხედავად 2008-2009 წლების გლობალური ეკონომიკური რეცესიისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის უარყოფითი

გავლენისა საქართველოს ეკონომიკაზე, ის წლიურად დაახლოებით 5%-ით იზრდება[1], ხოლო ეკონომიკური რეფორმების წყალობით „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ ინდექსის მიხედვით საქართველოს მსოფლიოში მე-6 ადგილი უკავია[2]. ეკონომიკური ზრდა დიდწილად მთლიანი პროდუქტიულობისა და კაპიტალის ზრდით იყო გამოწვეული; შედეგად, შეზღუდული იყო მისი პოზიტიური გავლენა დასაქმების რაოდენობრივ ზრდაზე. 2017 წელს უმუშევრობის საერთო დონე 13.9% იყო.[3] ამასთან, შრომის ბაზარი ხასიათდება გარკვეული სტრუქტურული პრობლემებით, რაც მოიცავს თვითდასაქმების მაღალ მაჩვენებელს, ასევეუმუშევრობის მაღალ დონეს ახალგაზრდებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებში. განსაკუთრებით მაღალია სოფლად თვითდასაქმების მაჩვენებელი.

ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების პარალელურად,„საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია“ მიზნად ისახავს, რომ სახელმწიფომ უფრო აქტიური როლი შეასრულოს შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაში. დასაქმება სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის სოციალური თანასწორობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რამაც წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნის მიღწევაში.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიზანია დასაქმებულთა უფლებების დაცვა, ღირსეული დასაქმების უზრუნველყოფა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის ბაზარზე თანაბარ მონაწილეობას.

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადამიანური კაპიტალისა და პროდუქტიულობის განვითარებას, მთელი ცხოვრების მანძილზე განათლებას. ეს სამუშაო ძალას დაეხმარება, დააკმაყოფილოს სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი დარჩეს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მასში ჩამოყალიბებული ხედვა, მიზნები და ამოცანები 2023 წლამდე ეტაპობრივად განხორციელდება სამოქმედო გეგმის

[1]საქსტატი, 2017 - https://bit.ly/2WSxwOR
[2]https://tradingeconomics.com/georgia/ease-of-doing-business
[3]საქსტატი, 2017- shorturl.at/iozNR

საშუალებით. სტრატეგიის განხორციელებისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო და ფინანსები. გაძლიერდება სტრატეგიის დანერგვისთვის საჭირო ადამიანური რესურსები.

2.2. უმუშევრობა თბილისის საგარეუბნო ზონაში

სამუშაო ადგილის დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მოვლენაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრების დონის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ იმედებს საკუთარ შრომით შემოსავლებზე ამყარებს. ადამიანები შრომისგან არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ პიროვნული სრულყოფილების გრძნობასაც იღებენ. სამუშაოს დაკარგვა ნიშნავს, საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვას, მომავალზე წუხილს და ცხოვრების დონის შემცირებას.

რეალურ ეკონომიკაში უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია. უმუშევრობის ნორმალურ ანუ ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წონა შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას ამ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. არსებული მდგომარეობის სწორად შეფასებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ არა მხოლოდ უმუშევართა რაოდენობა, არამედ მათი უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაკარგვის მიზეზი, სად ეძებენ სამუშაოს, ვის მიმართავენ დახმარებისთვის, რა სირთულეებს აწყდებიან სამუშაოს ძიებისას და ა.შ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ უმუშევრობის ზოგადი მახასიათებლები საქათველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით გავაანალიზეთ ისეთი პარამეტრების დროში ცვალებადობა, როგორიცაა, მაგალითად: უმუშევრობის დონე საქართველოში, უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში, უმუშევრობის დონის ცვლილება 2018 წელს 2017 წელთან მიმართებაში საქართველოს რეგიონების მიხედვით, უმუშევრობის დონე სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების დონეები და ა.შ.

იმისათვის, რათა უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ აღნიშნული საკითხი და დავინახოთ ბაზრის გარკვეული თავისებურებები, საჭიროა ადგილობრივი შრომის ბაზრის ძირეული შესწავლა (კვლევა). ამ მიზნით, ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მრავალმხრივაა შესწავლილი პრობლემა. აღნიშნულ კვლევაში, სოფელ მარტყოფის მაგალითზე, შესწავლილია შრომის ბაზარი. ვფიქრობთ, შესაძლებელია მიღებული

შედეგების ზოგად ჭრილში განხილვა, ვინაიდან მარტყოფი, თავისი სიდიდითა და ტერიტორიული ადგილმდებარეობით, აკმაყოფილებს, როგორც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მობილურობის მაღალ დონეს, ასევე რესპოდენტთა მრავალფეროვნებას.

საქართველოში უმუშევრობას აქვს რეგიონული თავისებურებანი. განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონები. ამის კლასიკური მაგალითია - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელი მარტყოფი, სადაც წარმოიქმნა სპეციფიკური პირობები უმუშევრობისა და გამოვლინდა მისი დაძლევის განსხვავებული გზები. ამრიგად, ჩვენს მიერ სპეციალურად შედგენილი ანკეტით, ჩატარებულია შერჩევითი ანკეტური გამოკვლევა, მეტ-ნაკლებად დადგენილია უმუშევრობის მიზეზები და დასახულია გზები მის შესამცირებლად.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. მაგალითად, მცირე შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კვლევა მომზადდა და განხორციელდა ქვეყნის მასშტაბებთან შედარებით ძალიან მცირე ტერიტორიაზე. ამიტომ მისი შედეგებიის განზოგადებისას, შეიძლება მივიღოთ შედარებით მაღალი ცდომილების ხარისხი, თუმცა ვფიქრობთ, რომ კვლევა ატარებს საკმაოდ მაღალ ღირერებულებას ადგილობრივ დონეზე (და არა მარტო ადგილობრივ დონეზე). კვლევა შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, და არა მარტო იმ სოფლისთვის, სადაც იგი ჩატარდა, არამედ, ანალოგიური მახასიათებლების გამო, დედაქალაქთან ახლოს მდებარე ყველა დასახლებისთვისაც.

კვლევის მეთოდები - ჩვენს ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მეთოდი - გამოკითხვა ანკეტის მეშვეობით.კვლევის მეთოდებს, ჩვეულებრივ, ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ:რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად. სოციალურ მეცნიერებებში რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს შორისგანსაკუთრებით გავრცელებულია მასობრივი გამოკითხვა, სოციალური ექსპერიმენტი და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი.

აღნიშნული მეთოდი შევარჩიეთ კვლევის ჩასატარებლად, რადგან რაოდენობრივი კვლევის მეთოდები უაღრესად პოპულარული და ფართოდ

გავრცელებულია მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში, როგორც სოციალურ, ისე ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. უდავოა, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მონაცემების მოპოვების საიმედო და აღიარებულ ტექნიკადაა მიჩნეული, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მთელ მსოფლიოში სისტემატურად ხდება მოსახლეობის აღწერა, ყოველწლიურად ტარდება შინამეურნეობის კვლევები, რაც სწორედ რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ხორციელდება.

ამასთან, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები საშუალებას იძლევა, სწორად განხორციელებული შერჩევის შემთხვევაში, მოსახლეობის ფართო ჯგუფებზემოხდეს შედეგების განზოგადება, რაც რაოდენობრივი კვლევის მეთოდების განსაკუთრებულ სანდოობაზე მეტყველებს, შესაბამისად, იგი განსაკუთრებით მიმზიდველია მკვლევართათვის. საერთოდ, მკვლევართა შორის დომინანტურია შეხედულება, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთო„დები ობიექტური რეალობის წვდომის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომლებიც დიდადაა დამოკიდებული მკვლევრის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მასობრივი გამოკითხვის მეთოდის არჩევისას მოგვიწია მთელი რიგი სააკითხების გათვალისწინება, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა კვლევის სწორად განხორციელებაში. მაგალითად განვიხილოთ მანთგან ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა.

- **პოპულაციასთან დაკავშირებული პრობლემები.** ვიცით თუ არა ჩვენი სამიზნე ჯგუფის ზუსტი ზომა? ზოგ შემთხვევაში ჩვენი სამიზნე ჯგუფის წევრების სრული სია შეგვიძლია შევადგინოთ, მაგრამ ზოგჯერ ეს შეუძლებელია. ზუსტად ასევე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. ჩვენი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე სამიზნე ჯგუფის ზუსტი ზომა, რა თქმა უნდა, არ გვეცოდინებოდა, ამიტომ მარტყოფის მოსახლეობის ზომიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ გამოგვეკითხა მინიმუმ 100 ადამიანი, რომლებიც ამჟამად არ მუშაობენ. საბოლოოდ შესაძლებელი გახდა გამოგვეკითხა სულ 127 რესპოდენტი. ვთვლით, რომ რესპოდენტთა აღნიშნული რაოდენობა სრულიად საკმარისია გარკვეული დასკვნების გამოსატანად და რეკომენდაციების შესამუშავებლად.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შემდეგი დეტალებიც: სამიზნე ჯგუფის წევრები არიან თუ არა წერა-კითხვის მცოდნენი, ხომ არ არსებობს რაიმე სხვა ენობრივი ბარიერი, თანახმაა თუ არა სამიზნე ჯგუფი ითანამშრომლოს ჩვენთან, როგორც კვლევის მიმდინარეობის პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდეგ რაიმე აქტივობების არსებობის შემთხვევაში, როგორია ჩვენი სამიზნე ჯგუფის გეოგრაფიული განაწილება და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლი საკითხებიდან, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შემთხვევაში არც ერთი არ წარმოჩენილა, როგორც პრობლემა, რომელიც ხელს შეუშლიდა კვლევის მიმდინარეობას და მის შედეგებს.

- **შერჩევასთან დაკავშირებული პრობლემები.** რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისას შერჩევასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიქმნას ისეთი კითხვები როგორიცაა, მაგალითად: ვფლობთ თუ არა რაიმე ინფორმაციას გამოკითხვისთვის შერჩეული ადამიანების შესახებ? ჩვენს შემთხვევაში, გამოკითხვისვის შერჩეული ადამიანების შესახებ ვფლობდით მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომ ისინი იყვნენ დაუსაქმებლები. აღნიშნული საწყის ეტაპზე, ჩვენი კვლევისთვის სრულიად საკმარისი იყო. აგრეთვე მნიშვნელოვანია ისიც, რამდენად მარტივადაა შესაძლებელი ჩვენს რესპოდენტებთან დაკავშირება, ვინ იქნებიან ისინი და როგორ გადავჭრით ნაკლული მონაცემების პრობლემას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მაშინაც კი, თუ პოპულაციასთან და შერჩევასთან დაკავშირებულ სხვა დანარჩენ პრობლემასგადავჭრით, აუცილებლად მოგვიწევს ნაკლული მონაცემების პრობლემასთანშეხება, რადგან ზოგი უარს იტყვის გამოკითხვაში მონაწილეობაზე, ზოგიარასრულყოფილად შეავსებს კითხვარს, ზოგსაც დაავიწყდება კითხვარის უკან დაბრუნება და ა.შ. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, რადგან მიღწეულია თავდაპირველი მიზანი (გამოგვეკითხა მინიმუმ 100 რესპოდენტი), ვფიქრობთ, არ დგას ნაკლული მონაცემების პრობლემა.

- **ადმინისტრაციული პრობლემები.** ადმინისტრაციულ პრობლემებში მოიაზრება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ხარჯები, დრო, აღჭურვილობა და პერსონალი. ხშირად, სწორედ გამოკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები უბიძგებს მკვლევარს მასობრივი გამოკითხვის ამა თუ იმ მეთოდის არჩევას. ჩვენს შემთხვევაში, კვლევის ჩატარებას არ სჭირდებოდა რაიმე განსაკუთრებული მატერიალური ხარჯის გაღება.

ამგვარად, ამ კომპონენტმა არ ითამაშა არანაირი როლი კვლევის დაგეგმვაზე, მიმდინარეობასა და მის შედეგებზე. ზემოთ ჩამოთვლილი კმპონენტებიდან ჩვენი კვლევის წარმატებით განხორციელებისთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო დროის სწორედ გადანაწილება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევის ჩატარების ჩვენს მეთოდს გააჩნია როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. თვითადმინისტირებადი კითხვარის **ძლიერი მხარეები** შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- მცირე ხარჯები - არაა საჭირო ინტერვიუვერების დაქირავება;
- არ არსებობდა „ინტერვიუერის გავლენის“ ეფექტი;
- შესაძლებელი იყო კომპლექსური - ღია და დახურული შეკითხვების გამოყენება.

რაც შეეხება **სუსტ მხარეებს**:

- გამოკითხვისას ვერ ვაკონტროლებდით თუ რა ინტერპრეტაციას აძლევდნენ რესპოდენტები ცალკეულ შეკითხვებს;
- რესპოდენტებს შეეძლოთ არ დაეცვათ შეკითხვების თანმიმდევრულობა და, პირველ რიგში, მათთვის საინტერესო ანმარტივი შეკითხვებისთვის ეპასუხათ.

ჩვენ ვიღებთ ეთიკურ ვალდებულებას არა მარტო რესპონდენტების წინაშე, არამედ სამეცნიერო საზოგადოების წინაშეც, რომელიც კვლევის შედეგებითაა დაინტერესებული. ნებისმიერი ხარვეზი შერჩევაში თუ კვლევის დიზაინში, აგრეთვე კვლევის შეზღუდვები გულწრფელად იქნება წარმოდგენილი ნაშრომში.

კვლევის მომზადების და განხორციელების პროცესი პირობითად რამდენიმე ეტაპად დავყავით. როგორც აღინიშნა, რაოდენობრივი კვლევა სოციალური მოვლენების შესახებ მონაცემთა მოპოვების ერთ-ერთი უმთავრესი ტექნიკაა. რაოდენობრივი მონაცემების მოპოვების მთავარი ინსტრუმენტია მასობრივი გამოკითხვა, რომელიც ჩვეულებრივ გულისხმობს (1) **კითხვარის შედგენას** ამა თუ იმ საკითხის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად.შემდეგი ეტაპი არის (2) **შერჩევა**. იგი გულისხმობს მთელი პოპულაციიდან უშუალოდ კვლევაში მონაწილე ადამიანთა ჯგუფის გამოყოფას. შემდეგი ეტაპი არის**(3)გამოკითხვის ჩატარება**, ანუ ე.წ. საველე

სამუშაოები. მონაცემების შეგროვების შემდეგ უკვე დავიწყეთ **(4) მონაცემთა დამუშავება** და **მიღებული შედეგების ანალიზი**. აღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ მომზადდა **(5) კვლევის ანგარიში.**

- **კითხვარის შედგენა.** გავითვალისწინეთ რა გარკვეული მოთხოვნები, შევადგინეთ მაქსიმალურად ეთიკური კითხვარი, რათა არ დაგვეზიანებინა რესპოდენტთა ინტერესები. კვლევაში მონაწილეობა იყო აბსოლუტურად ნებაყოფლობითი, აგრეთვე დაცული იყო რესპოდენტთა ანონიმურობა და კონფიდენციალურობა. მეტიც, უმეტეს შემთხვევაში, მონაცემების დამუშავებისას, თავად კვლევის ავტორიც კი ვერ შეძლებდა რესპოდენტთა იდენტიფიცირებას, რადგან კვლევა ჩატარდა ანკეტების დაგზავნის მეთოდით. ანუ ანკეტის მომზადების შემდეგ შევარჩიეთ დაუსაქმებელი ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ სოფელ მარტყოფში, გავუგზავნეთ/გადავეცით მათ აღნიშნული ანკეტები და ვთხოვეთ კვლევაში მონაწილების მიღება. აღასიშნავია, რომ რესპოდენტებს გავაცანით კვლევის ზოგადი მიზანი. იმისთვის, რომ არ მოგვეხდინა რაიმე განსაკუთრებული ზეგავლენა რესპოდენტთა პასუხებზე, კვლევის მიზნებზე საუბრისას თავი შევიკავეთ ზედმეტი დეტალების გამხელისაგან. მეტი სანდოობისა და დაცულობისთვის კითხვარის დასაწყისშივე მივუთითეთ, რომ კვლევა კონფიდენციალურია და არ არის მიზანშეწონილი პირადი მონაცემების მითითება (იხ. დანართი).

რაოდენობრივ კვლევას შეიძლება თან ახლდეს შემდეგი ეთიკური პრობლემები, რომლებიც ჩვენს კვლევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბსოლუტურად გათვალისწინებული და გაზიარებულია:

ნებაყოფლობითი მონაწილეობა/ინფორმირებული თანხმობა. ვინაიდან სოციალური კვლევა ადამიანთა პირად ცხოვრებაში შეჭრას გულისხმობს და მათგან გარკვეული დროისა და ენერგიის დათმობას ითხოვს, რესპონდენტების მხრიდან კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს. თუმცა ეს ნორმა ცხადად გვეჩვენება, პრაქტიკაში მისი განხორციელება საკმაოდ რთულია.

რესპონდენტების დაცვა ზიანის მიყენებისგან. ხშირად, მკვლევარი ითხოვს რესპონდენტებისგან მათი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასეთ დროს, შესაძლოა რესპონდენტმა საკმაოდ არაკომფორტულად იგრძნოს თავი,რადგან

ჩათვალოს, რომ გარკვეული ინფორმაციის გამოაშკარავება მას არასასურველიკუთხით წარმოაჩენს.

ანონიმურობა და კონფიდენციალობა. რესპონდენტი ჩაითვლება ანონიმურად, როცა თავად მკვლევარს არ შესწევსუნარი ცალკეული პასუხი გარკვეულ რესპონდენტთან დააკავშიროს.

კვლევის მიზნის გამხელა. როცა კვლევის რეალური მიზნის გამხელა კვლევის პროცესსა თუ შედეგებზეახდენს გავლენას, ამერიკელი მკვლევარი ერლ ბები გვთავაზობს მივსდიოთ შემდეგწესებს: 1. მკვლევარმა არ უნდა გაამხილოს კვლევის მიზნის ის ასპექტები, რომლებიცსავარაუდოდ პასუხთა სანდოობაზე ახდენს გავლენას; 2. მკვლევარმა დაუფარავადუნდა გაამხილოს კვლევის მიზნები, როცა ნაკლებ სავარაუდოა მათი გავლენარესპონდენტთა პასუხებზე; 3. მკვლევარმა მისი კვლევის ზოგადი მიზანი უნდაწარმოადგინოს და არ ჩაუღრმავდეს სპეციფიკურ დეტალებს; და 4. მკვლევარმაარასოდეს არ უნდა წარმოადგინოს კვლევის მიზანი მცდარი სახით.

- **შერჩევა**. შერჩევა შესასწავლი პოპულაციიდან სხვადასხვა ერთეულის არჩევის პროცესია ისეთი გზით, რომ შესაძლებელი იყოს მიღებული შედეგების განზოგადება მთლიან პოპულაციაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივ და თვისებრივ მკვლევართა მიდგომა შერჩევისადმი განსხვავებულია. რაოდენობრივ მკვლევართა, ამ შემთხვევაში ჩვენი, მთავარი მიზანი სწორედ ისაა, რომ შერჩეული ჯგუფი ზუსტად ასახავდეს მთლიანი პოპულაციის სურათს.

ადამიანთა ერთობლიობას, რომელზეც ჩვენი კვლევის შედეგების განზოგადებას ვახდენთ, გენერალური ერთობლიობა ჰქვია. გენერალური ერთობლიობიდან შერჩეულ ადამიანთა ჯგუფს, რომელზეც კვლევა ჩავატარეთ და რომლის შედეგების განზოგადებასაც გენერალურ ერთობლიობაზე ვაპირებთ, შერჩევით ერთობლიობას ვუწოდებთ.

კვლევაში გამოყენებული გვაქვს **შერჩევის ალბათური ფორმა**, რადგან ალბათური შერჩევისას, გენერალური ერთობლიობის თითოეულ ელემენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს, რომელიც შემთხვევითია და არც ერთი ელემენტისთვის არ არის ნულოვანი. არაალბათური შერჩევისას კი, გენერალური ერთობლიობის თითოეულ ელემენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის

არათანაბარი, ზოგ შემთხვევაში კი - ნულოვანი შანსი აქვს. შერჩევის აღნიშნული ფორმის გამოყენება ჩვენის მხრიდან განპირობებული იყო კველვის მიზნებიდან გამომდინარე, აკურატულად აღგვეწერა შერჩევითი ერთობლიობის მახასიათებლები, რათა მათ საფუძველზე გენერალური ერთობლიობის შეფასება მოვახდინოთ სწორად.

არ არსებობს შერჩევა ცდომილების გარეშე. შერჩევის ცდომილება დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მიუხედავად მრავალი შესაძლო ვარიანტისა, გენერალური ერთობლიობიდან მხოლოდ ერთი კონკრეტული შერჩევითი ერთობლიობა იქნა მიღებული. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მაღალი სიზუსტე, ანუ შერჩევის რაც შეიძლება დაბალი ცდომილება. შერჩევის ცდომილებაზე გავლენის მქონე ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა. თუ გვინდა, რომ ორჯერ შევამციროთ შერჩევის ცდომილება, ორჯერ უნდა გავზარდოთ შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა.

- გამოკითხვის ჩატარება - კითხვარების გადაცემის შემდეგ, რესპოდენტებს მიეცათ გონივრული ვადა, რათა დაესრულებინათ მისი შევსება. მასობრივი გამოკითხვის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: ანკეტირება და ინტერვიუ. თავის მხრივ, ანკეტირება უმთავრესად ორი სახისაა: ერთ შემთხვევაში რესპონდენტი დამოუკიდებლად ავსებს კითხვარს, რომელსაც უშუალოდ მკვლევარი აძლევს (ანკეტირების ამ სახეს პირობითად თვითადმინისტრირებულს ვუწოდებთ); მეორე შემთხვევაში კი რესპონდენტი ფოსტით ღებულობს კითხვარს. ჩვენს შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საქმე გვაქვს პირველ შემთხვევასთან, ანუ რესპოდენტებმა უშუალოდ მკვლევარის მიერ გადაცემული კითხვარი დამოუკიდებლად შეავსეს.

ამ მეთოდს გააჩნი თავის დადებითი და უარყოფითი მხარეები. უარყოფითი მხარე არის ის, რომ კვლევა შეიძლება დროში ძალიან გაიწელოს, ან უარეს შემთხვევაში, რესპოდენტმა შეიძლება კითხვარი საერთოდაც არ შეავსოს. რაც შეეხება ამ მეთოდის დადებით მხარეებს, მისი ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე ის არის, რომ ამ დროს რესპოდენტი თავს გრძნობს ბევრად უფრო თავისუფლად და შეკითხვებს პასუხობს მეტად გულწრფელად, ვიდრე, მაგალითად პირადი ინტერვიუს მეთოდით ჩატარებული გამოკითხვის დროს. ამგვარად, ამ დროს შეიძლება მივიღოთ ბევრად უფრო ავთენტური და რეალობასთან ახლოს მდგომი შედეგები. ამრიგად, ზემოთ მოყვანილი

არგუმენტების საფუძველზე მივიღეთ გადაწყვეტილება, კვლევა სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით ჩაგვეტარებინა.

- მონაცემთა დამუშავებდა და მიღებული შედეგის ანალიზი - მონაცემების ერთიანად შეგროვების შემდეგ უკვე იწყება მონაცემთა გადარჩევა/დახარისხება/დამუშავება, რაც ჩვენს შემთხვევაში ძირითადად განხორციელდა Microsoft Excel-ის დოკუმენტში. მონაცემთა ძირეული დამუშავების შემდეგ უნდა განხორციელდეს მიღებული შედეგების ანალიზი.

მონაცემთა ანალიზი სამ ძირითად საფეხურს მოიცავს: (1) მონაცემების ორგანიზებადა გაწმენდა(მონაცემების მომზადება) - ამ ეტაპზე შევამოწმეთ მონაცემთა სიზუსტე, ელექტონულად ავსახეთ კომპიუტერში და შევქმენით ე.წ. მონაცემთა ბაზა.(2) მონაცემების აღწერა(აღწერითი სტატისტიკა) - ამ ეტაპზე აღვწერეთ შესასწავლი მონაცემების ძირითადი თავისებურებანი და ბოლოს, (3) ჰიპოთეზების შემოწმება(დასკვნითი სტატისტიკა) -ანალიტიკური სტატისტიკით შევამოწმეთჰიპოთეზა. მის საფუძველზემიღებული მონაცემებიდან გამოვიტანეთ დასკვნები.

- კვლევის ანგარიშის მომზადება - რაოდენობრივი კვლევის ჩატარების საბოლოო საფეხური კვლევის ანგარიშის შექმნაა. ანგარიში მოიცავს მონაცემთა ვიზუალიზაციასა და დასკვნებს.

კვლევა ჩატარდა 2019 წლის 1 აპრილიდან - 30 აპრილამდე შუალედში სოფელ მარტყოში. სულ გამოკითხულია 127 ადამიანი (დაუსაქმებილი). კითხვარი, რომლითაც კვლევა ჩატარდა, შედგება 33 კითხვისაგან, მათგან 26 არის დახურული , ხოლო დანარჩენი 7 კი - ღია შეკითხვა.

რესპოდენტებს თავდაპირველად დავუსვით ისეთი მარტივი კითხვები, როგორიცაა, მაგალითად - სქესი, ასაკი, ქორწინებითი მდგომარეობა, განათლება და სპეციალობა.

შემდეგ გადავედით, უფრო სპეციფიკურ და ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვან შეკითხვებზე. მაგალითისთვის განვიხილოთ რამდენიმე: „რამდენი ხანია რაც უმუშევარი ხართ?“ „ამჟამად ეძებთ თუ არა სამუშაოს?“ „სად ეძებთ სამუშაოს?“ „თუ

სამუშაოს ეძებთ, ვის მიმართეთ დახმარებისთვის?“ „როგორ სამუშაოს ეძებთ?“ „რა სირთულეებს აწყდებით სამუშაოს ძიებისას?“ „სად გირჩევნიათ სამუშაოს დაწყება?“

აღნიშნული შეკითხვების მეშვეობითმივიღებთ ზოგად ინფორმაციას,მაგალითად იმის შესახებ თუ უმუშევრობის რომელი სახე ჭარბობს (ფრიქციული, სტრუქტურული თუ ციკლური) თბილისის საგარეუბნო ზონაში. აგრეთვე, შრომისუნარიან ასაკში მყოფი დაუსაქმებელი ადამიანებიდან რამდენი პროცენტი ეძებს ამჟამად სამსახუს, ანუ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის სტანდარტებით, დაუსაქმებლების რამდენი პროცენტია რეალურად უმუშევარი. აგრეთვე, დასკვნების გამოსატანად და გარკვეული რეკომენტაციების შესამუშავებლად მნიშვნელოვანია ისიც თუ სად ეძებენ რესპოდენტები სამსახურს. პირობითად ეს შეიძლება იყოს ის სოფელი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ (ამ შემთხვევაში - მარტყოფი), ან დედაქალაქთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო, ადგილი, სადაც ისინი სამსახურს ეძებენ, შეიძლება იყოს ქ. თბილისი. ნებისმიერი შედეგი ჩვენთვის საინტერესო შედეგის მომტანი იქნება.

ასევე, მნიშვნელოვანია ისიც თუ ვის მიმართავენ დასახმარებლად ის რესპოდენტები, რომლებიც სამსახურს ეძებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაუსაქმებლების უმრავლესობა ცდილობს სამსახური იპოვნოს ინტერნეტში ვაკანსიების მოძიების საშუალებით, თუმცა ქართული რეალობიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ რესპოდენტთა არანაკლები რაოდენობა ცდილობდეს სამსახურის მოძიებას ნაცნობების/ნათესავების დახმარებით.

მნიშვნელოვანია ისიც თუ რა სირთულეებს აწყდებიან რესპოდენტები სამუშაოს ძიებისას ყველაზე ხშირად. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი უმრავლესობა ან ვერანაირ სამსახურს ვერ პოულობს, ან მეტისმეტად დაბალი ხელფასის გამო არ სურთ მუშაობის დაწყება.

აღსანიშნავია, რომ კითხვარში თითქმის ყველა დახურულ შეკითხვას, სავარაუდო პასუხებთან ერთად ახლავს პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი - „სხვა“, ამრიგად რესპოდენტები არ იყვნენ შეზღუდულები და სურვილის შემთხვევაში შეეძლოთ მიეთითებინათ ჩამოთვლილი სავარაუდო პასუხებისგან სრულიად განსხვავებული პასუხი.

გარდა ამისა, ჩვენ გადავწყვიტეთმონაცემები დაგვემუშავებინა დამუშავების **ჯვარედინი მეთოდით.** ანუ ორ კონკრეტულ ცვლადს ვაკავშირებდით ერთმანეთთან და ვცდილობდით გაგვერკვია, მაგალითად ქალთა რამდენი პროცენტი ეძებს/არ ეძებს სამსახურს, ან რომელი ასაკის წარმომადგენლები უფრო ეძებენ სამსახურს მარტყოფში და რომელის - თბილისში. ასევე, რომელი ასაკის წარმომადგენლები უფრო მიმართავენ სამსახურის ძიებისას ნაცნობებს/ნათესავებს და ა.შ.

ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ გარკვეული დაშვებები (ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეზები). მაგალითად, უნდა ვივარაუდოთ, რომ: (1) შედარებით დაბალი ასაკის წარმომადგენლები სამსახურს ეძებენ ქ. თბილისში, ხოლო ადამიანი რაც უფრო ასაკში შედის, ცდილობს დასაქმდეს თავის საცხოვრებელთან რაც შეიძლება ახლოს (ამ შემთხვევაში - მარტყოფში). (2) აგრეთვე, სავარაუდოა, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად მოძებნიან სამუშაოს ინტერნეტის საშუალებით, ხოლო შედარებით უფროსი ასაკის წარმომადგენლები სამუშაოს მოძებნისას მიმართავენ ნაცნობებს და ნათესავებს. (3) იგივე შეიძლება ითქვას ადამიანებზე რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება. ისინი სამუშაოს ძიებისას გამოიყენებენ ინტერნეტს, ხოლო ზოგადი საშუალო განათლების მქონე ადამიანები სამუშაოს პოვნას ეცდებიან ნაცნობების დახმარებით. (4) ასევე, ვვარაუდობთ, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტად ეძებენ ე.წ. ნახევარ განაკვეთიან სამუშაოს (საოჯახო საქმეების გამო), ხოლო კაცების უმეტესობა ეძებს სამსახურს - სრული სამუშაო დროით.

ამრიგად, შეგვიძლია დავიწყოთ მონაცემების განხილვა/ანალიზი.

როგორც ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე ვხედავთ (ნახ. 2.1.), გამოკითხული რესპოდენტებიდან 67% არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 33% - მამრობითი სქესის.

ნახაზი 2.1. რესპოდენტთა სქესობრივი სტრუქტურა:



რაც შეეხება რესპოდენტთა ასაკს, გამოკითხულებიდან ყველაზე მეტი ადამიანი - 23%, არის 30-დან 34 წლამდე ასაკის. ხოლო ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე - გამოგვეკითხა მხოლოდ შრომისუნარიანი ასაკის ადამიანები, გამოკითხულებიდან არც ერთი რესპოდენტი არ არის 65 წლის ზევით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულებიდან ნახევარზე მეტი (50,4%)არის ახალგაზრდა - 34 წლამდე ადამიანი (ნახ 2.2.).

ნახაზი 2.2. რესპოდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა:



აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას, 37%-საქვს ზოგადი საშუალო განათლება, 27%-ს უმაღლესი, 21%-ს საშუალო პროფესიული, ხოლო 15%-ს საშუალო სპეციალური.

ნახაზი 2.3. რესპოდენტთა განათლების დონე:



მნიშვნელოვანია, რომ რესპოდენტთა ძალიან დიდი ნაწილი - 35,4% აცხადებს, რომ არ აქვს პროფესია, 18,1% ასახელებს ჩამოთვლილთაგან აბსოლუტურად განსხვავებულ პროფესიას. 11,8% არის პროფესიით ექთანი, 9,4% - მასწავლებელი. გამოკითხულთა 4,7-4,7% არის პროფესიით ექიმი, ხელოვანი და ეკონომისტი.

ნახაზი 2.4. რესპოდენტთა პროფესიული შემადგენლობა:



გამოკითხულთა 55,1% აცხადებს, რომ შეუძლია მხოლოდ ერთი პროფესიით მუშაობა, 35,4%-ს შეუძლია ორი პროფესიით მუშაობა, 4,7%-ს შეუძლია სამი პროფესიით მუშაობა, ხოლო 4,7% არც ერთი პროფესიით არ შეუძლია მუშაობის დაწყება (ნახ. 2.5.).

ნახაზი 2.5. პასუხი კითხვაზე „რამდენი პროფესიით შეგიძლიათ მუშაობა?“



აღსანიშნავია, რომ რესპოდენტების 37,0% კითხვაზე - „რამდენი წევრისაგან შედგება თქვენი ოჯახი?“ პასუხობს, რომ მათი ოჯახი 6 და მეტი წევრისგან შედგება (იხ. დანართი - ნახ. 4.1.). კითხვაზე: „რამდენია მათგან შრომისუნარიანი ასაკის (ქალები - 16-59წ. კაცები - 16-64წ.)?“ 29,9% აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრებიდან მხოლოდ ორი ადამიანი არის შრომისუნარიანი ასაკის(იხ. დანართი - ნახ. 4.2.). კითხვაზე „შრომისუნარიან ასაკში მყოფი ოჯახის წევრებიდან რამდენია დასაქმებული?“ რესპოდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი - 48,8% აცხადებს, რომ მათი შრომისუნარიან ასაკში მყოფი ოჯახის წევრებიდან დასაქმებული არის მხოლოდ ერთი ადამიანი(იხ. დანართი - ნახ. 4.3.). თუმცა, კითხვაზე „ოჯახის შრომისუნარიანი წევრებიდან რამდენია უმუშევარი?“ გამოკითხულთა ასევე 48,0% პასუხობს, რომ მათი შრომისუნარიანი ასაკის ოჯახის წევრებიდან ასევე მხოლოდ 1 ადამიანია უმუშევარი (იხ. დანართი - ნახ. 4.4.).

რაც შეეხება შეკითხვას - „რამდენი ხანია, რაც უმუშევარი ხართ?“ რესპოდენტთა მხოლოდ 1% პასუხობს, რომ 6 თვეზე ნაკლებია რაც უმუშევარია, 5% ერთ წლეზე ნაკლებია, რაც უმუშევარია, 10% - ორ წლამდე, ასევე 10% - სამ წლამდე, ხოლო გამოკითხულთა განსაკუთრებით დიდი ნაწილი - 74%, სამ წელზე მეტია, რაც უმუშევარია (ნახ. 2.6.). აღნიშნული ყურადსაღები შედეგია, რადგან, როგორც ვიცით, როდესაც ადამიანები ამდენ ხანს ეძებენ სამსახურს, საქმე გვაქვს უმუშევრობის ყველაზე მძიმე ფორმასთან - ციკლურ უმუშევრობასთან. ციკლური უმუშევრობა გამოწვეულია

ეკონომიკის იმ ციკლით, რომელიც ხასიათდება საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის კლებით. ამ დროს, მოთხოვნის კლების პარალელურად ეცემა წარმოების დონე, იზრდება კომპანიებიდან გამოთავისუფლებულთა რიცხვი, შესაბამისად მკვეთრად იზრდება უმუშევრობის დონეც.

ნახაზი 2.6. რესპოდენტთა განაწილება უმუშევრობის ხანგრძლივობის მიხედვით:



რესპოდენტთა ის ნაწილი, რომელთაც ოდესმე უმუშავიათ, ბოლო სამუშაოს დაკარგვის მეზეზად აცხადებენ მძიმე, დაძაბულ სამუშაო გრაფიკს (19,0%) და ასევე - დაბალ ხელფასს (19,0%). აგრეთვე, თანაბარი 15,2-15,2% ბოლოს სამუშაოს დაკარგვის მიზეზს ასახელებს იმას, რომ გააუქმეს სამსახური ან ტერიტორიულად აღარ აწყობდათ იქ სიარული. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 8,9% ასახელებს ბოლო სამუშაოს დაკარგვის მიზეზად კონტრაქტის დამთავრებას (ნახ. 2.7.).

ნახაზი 2.7. რესპოდენტთა განაწილება სამუშაოს დაკარგვის მიზეზების მიხედვით:



კითხვაზე „ამჟამად ეძებთ თუ არა სამუშაოს?“ რესპოდენტთა 82% დადებითად პასუხობს. გამოკითხულ დაუსაქმებელ რესპოდენტთა 18% კი პასუხობს, რომ ამჟამად არ ეძებს სამსახურს (ნახ. 2.8). როგორც გაირკვა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტანდარტის მიხედვით, ჩვენს მიერ გამოკითხული რესპოდენტების 82% არის რეალურად უმუშევარი.

ნახაზი 2.8. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „ამჟამად ეძებთ თუ არა სამუშაოს?“



აღსანიშნავია, რომ თუ ასაკის მიხედვით დავყოფთ სამსახურის მაძებართა რაოდენობებს, ვნახავთ, რომ ყველაზე მეტად 35-დან 44 წლამდე ასაკის ადამიანები ეძებენ სამუშაოს - 92,9-92,9 %, ხოლო ყველაზე ნაკლებად 30-დან 34 წლამდე ადამიანებს სურთ ამჟამად სამსახურის დაწყება (27,6%).

ნახაზი 2.9. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „ამჟამად ეძებთ თუ არა სამსახურს (ასაკის მიხედვით)?“



შედეგების მიხედვით, უმუშევარ რესპოდენტთა 54,2% სამსახურს ეძებს ქ. თბილისში, 42,4% - მარტყოფში, 2,5% - გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ხოლო გამოკითხულებიდან მხოლოდ 1 ადამიანისთვის (0,8%) არ აქვს მნიშვნელობა სად დაიწყებს მუშაობას (ნახ. 2.10.). როგორც ვხედავთ, ადგილობრივად, სოფელშივე დასაქმებას ისურვებდა მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილი. ეს განპირობებულია გარკვეული მიზეზებით: საცხოვრებელთან ახლოს დასაქმებულ ადამიანს არ ეხარჯება ტრანსპორტირებისას დრო, ენერგია და რაც მნიშვნელოვანია - ფულადი სახსრები. ამგვარად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გარდა იმისა, რომ უნდა იზრუნოს ქანქარისებული შრომითი მიგრაციის ოპტიმიზაციაზე თბილისში, ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის დასაქმებას ადგილობრივ დონეზეც.

ნახაზი 2.10. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „სად ეძებთ სამუშაოს?“



თუ ასაკის მიხედვით განვიხილავთ იმ ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე - „სად ეძებთ სამუშაოს?“ აღმოჩნდება, რომ 29 წლამდე ასაკის ადამიანები უფრო მეტად ეძებენ სამსახურს თბილისში. შემდეგ მონაცემები მკვეთრად ცვალებადია. ბოლოს კი, უფროსი ასაკის წარმომადგენლებიც (50 წლის ზევით) უფრო მეტად თბილისში ეძებენ სამსახურს, ვიდრე მარტყოფში (ნახ. 2.11.). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი თავდაპირველი ჰიპოთეზა მცდარი აღმოჩნდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდები უფრო ეძებენ სამსახურს თბილისში, ვიდრე ასაკოვანები.უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხოლოდ 60-65 წლამდე ასაკის ადამიანებში

არიან ისეთი რესპოდენტები, რომლებიც ეძებენ სამსახურს გარდაბნის მუნიციპალიტეში.

ნახაზი 2.11. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „სად ეძებთ სამსახურს (ასაკის მიხედვით)?“



აღსანიშნავია, რომ რაც უფრო იზრდება ადამინების განათლების დონე, მით უფრო მეტი რესპოდენტი ეძებს სამსახურს თბილისში და, პირიქით, ადამიანთა უმეტესობა, რომლებმაც დაბალ საფეხურზე დაამთავრეს განათლების მიღება, უფრო მეტად ადგილობრივ დონეზე (ამ შემთხვევაში - მარტყოფში) ცდილობენ სამსახურის შოვნას (ნახ. 2.12). ამას, რა თქმა უნდა, თავის ლოგიკური გამომწვევი მიზეზები გააჩნია. პირველ რიგში ის, რომ მარტყოფში არ არის ისეთი სამსახურები (ან ძალიან ცოტაა), რომელთა შესრულებასაც სჭირდება უმაღლეს დამთავრებულის უნარები. ამიტომ, როდესაც ადამიანები უნივერსიტეტს ამთავრებენ, სამუშაოს ძებნას პირდაპირ თბილისში იწყებენ. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ აღნიშნულსაც გაითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლება და ხელს შეუწყობს ისეთი სამუშაო ადგილების შექმნას, რომ უმაღლეს დამთავრებული ადამიანებიც ადგილზევე დასაქმდნენ.

ნახაზი 2.12. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: სად ეძებთ სამსახურს (განათლების მიხედვით)?“



შემდეგი შეკითხვა არის შემდეგი: „თუ სამუშაოს ეძებთ, ვის მიმართეთ დახმარებისთვის?“ ძალიან საინტერესოა, რომ ამ შეკითხვაზე რესპოდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი - 30,6% სამუშაოს ძიებისას მიმართავს ნაცნობებს/ნათესავებს. მხოლოდ ამის შემდეგ მოდის პასუხი - „ვეძებ ვაკანსიებს ინტერნეტში/პრესაში“, რომელზეც გამოკითხულთა 27,8% პასუხობს. რესპოდენტთა 13,0% მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას, 16,7% და 9,3% მიმართავს შესაბამისად უშუალოდ დამსაქმებლებს და დასაქმების სააგენტოებს. მხოლოდ 2,8% აცადებს, რომ სამუშაოს ძიებისას გაიარა სხვადასხვა შესარჩევი კონკურსი. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში დახმარებისთვის არც ერთი რესპოდენტი არ მიმართავს პროფკავშირებს (ნახ. 2.14.). აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში პროფკავშირები სარგებლობენ ძალიან დაბალი სანდოობით.

ნახაზი 2.13. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „თუ სამუშაოს ეძებთ ვის მიმართეთ დახმარებისთვის?“



ასაკის მიხედვით თუ დავყოფთ, მივიღებთ ჩვენს მიერ უკვე ნავარაუდევ შედეგებს: ახალგარზრდა ადამიანები, გარკვეული მიზეზების გამო, სამსახურს ეძებენ ინტერნეტის საშუალებით, რაც უფრო იზრდება რესპოდენტთა ასაკი, მით უფრო მცირდება ინტერნეტით სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი. ნახაზზე 2.14, ვხედავთ, რომ ინტერნეტით სამსახურის მაძიებელთა „ტეხილი“ მხოლოდ თავდაპირველად - 30 წლამდე ასაკის ადამინებში ასწრებს ყველა სხვა დანარჩენს, იგი 25 წლამდე ასაკის ადმიანებში 40%-დან იწყება და განიცდის მუდმივ კლებას. სამაგიეროდ, ადამიანების რიცხვი, რომლებიც ნაცნობების/ნათესავების საშუალებით ეძებენ სამსახურს, მუდმივად იზრდება, გარდა 2 შემთხვევისა, და აღწვს თავის პიკს (46%-ს) 60-65 წლის ასაკში.

ნახაზი 2.14. რესპოდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე: „თუ სამუშაოს ეძებთ, ვის მიმართეთ დახმარებისთვის“ - ასაკის მიხედვით?



ვინაიდან, შედეგების უმრავლესობა გადანაწილდა ორ კითხვაზე: „სამუშაოს საპოვნელად მივმართავ/მივმართე ნაცნობებს/ნათესავებს“ და „ვეძებ ვაკანსიებს ინტერნეტში/პრესაში“, ქვემოც მოყვანილი დიაგრამით ვეცადეთ შეგვედარებინა აღნიშნული ორი მაჩვენებელი განათლების ჭრილში. აღმოჩნდა, რომ ადამინს რაც უფრო დაბალი საფეხურის განათლება აქვს მიღებული, მით მეტად მიმართავს ნაცნობებს და ნათესავებს, სამუშაოს მოსაძებნად, ხოლო რაც უფრო იზრდება რესპოდენტთა განათლების დონე, მით უფრო მცირდება „ნაცნობობით“ სამუშაოს

მაძებართა რაოდენობა. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია რესპოდენტთა განათლების დონე, მით მეტად ეძებენ ისინი სამსახურს ინტერნეტსა და პრესაში ვაკანსიების მოძიების საშუალებით. აღნიშნული ძალიან კარგადაა წარმოდგენილი ნახაზზე 2.15.

ნახაზი 2.15. რესპოდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე: „თუ სამუშაოს ეძებთ, ვის მიმართეთ დახმარებისთვის“ - განათლების მიხედვით?



როგორც ნახაზზე 2.16. ვხედავთ, უმუშევართა დიდი ნაწილი - 49,0% ეძებს სამსახურს ნაწილობრისვი სამუშაო დროით, დანარჩენი 51% სამუშაოს ეძებს სრული სამუშაო დროით, თუმცა მათი 57% მზადაა იმუშაოს ნაწილობრივი სამუშაო დროითაც თუ სხვა გზა არ იქნება.

ნახაზი 2.16. რესპოდენტთა განაწილება კიტხვაზე: „როგორ სამუშაოს ეძებთ“ - პასუხების მიხედვით



საინტერესოა, როგორ გამოიყურება აღნიშნული მაჩვენებლები განათლებასთან მიმაერთებაში. როგორც ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე ვხედავთ (ნახ. 2.17.), რესპოდენტთა განათლების დონის ზრდასთან ერთად მუდმივ ზრდას განიცდის სამუშაოს „სრული სამუშაო დროით“ მაძებართა რაოდენობა. რაც შეეხება რესპოდენტებს, რომლებიც სამუშაოს ეძებენ ე.წ. ნახევარ განაკვეთზე, მათი რაოდენობა მკვეთრად მცირდება განათლების დონის ზრდასთან ერთად.

ნახაზი 2.17. რესპოდენტთა განაწილება კიტხვაზე: „როგორ სამუშაოს ეძებთ?“ - განათლების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ თუ აღნიშნულ მაჩვენებელს განვიხილავთ სქესობრივ ჭრილში, ვნახავთ, რომ ქალთა საკმაოდ დიდი ნაწილი (55,9%) სამუშაოს ეძებს „ნაწილობრივი სამუშაო დროით“, განსხვავებით კაცებისგან, რომელთა უმეტესობას (ჯამში - 72,2%-ს) სურს დასაქმდეს სრული სამუშაო დროით (ნახ. 2.18.). აღნიშნული შედეგიც შეიძლება საკმაოდ საგულისხმო იყოს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. მან ხელი უნდა შეუწყოს, შექმნას ისეთი სამუშაო ადგილები, სადაც დასაქმდებიან, მაგალითად ქალები, ნაწილობრივი სამუშაო დროით.

ნახაზი 2.18. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „როგორ სამუშაოს ეძებთ?“ - სქესის მიხედვით



კითხვაზე: „რა სირთულეებს აწყდებით სამუშაოს ძიებისას?“ რესპოდენტთა უმეტესობა - 36,6% პასუხობს, რომ ხელფასია მეტისმეტად დაბალი, 27,5% აცხადებს, რომ იგი ვერ პოულობს ვერავითარ სამსახურს, ხოლო 22,9% ვერ პოულობს თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურს. ასევე, გამოკითხულთა გარკვეულ რაოდენობას სამსახურის მოძიებაში ხელს უშლის უცხო ენის უცოდინრობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ასაკი. რესპოდენტთა ძალიან მცირე რაოდენობა (1,5%) აცხადებს, რომ გარეგნობის გამო არ იღებენ სამსახურში (ნახ. 2.19.).

ნახაზი 2.19. რესპოდენტთაგანაწილება კიტხვაზე: „ რა სირთულეებს აწყდებით სამუშაოს ძიებისას?“



იმავე კითხვას თუ განვიხილავთ განათლების ჭრილში, მივიღებთ საკმაოდ საინტერესო შედეგებს, როგორც 2.20.ნახაზზე ვხედავთ, რაც უფრო იზრდება ადამიანთა განათლების დონე მით, უფრო მატულობს იმ რესპოდენტების რიცხვი, რომლებიც ვერ პოულობენ თავიანთი კვალიფიკაციისა და პროფესიის შესაბამის სამსახურს. ასევე, განათლების დონის ზრდასთან ერთად მუდმივად მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ვერ პოულობენ ვერავითარ სამუშაოს, აგრეთვე მცირდება იმ რესპოდენტთა რიცხვიც, რომლებსაც ხელფასის ციმცირე უშლით ხელს სამსახურის მოძიებაში. აქედან შეგვიძლია დასკვნა გამოვიტანოთ: განათლების დონის ზრდასთან ერთად იზრდება ხელფასის მოცულობაც.

ნახაზი 2.20. რესპოდენტტა განაწილება კიტხვაზე: „რა სირთულეებს აწყდებით სამუშაოს ძიებისას?“ - განათლების მიხედვით



კითხვაზე - „სად გირჩევნით სამუშაოს დაწყება?“ რესპოდენტთა 40,0% პასუხობს, რომ ურჩევნია იმუშაოს თავისი პროფესიით, გამოკითხულთა 34,5%-თვის სულ ერთია სად დაიწყებს მუშაობას, „მთავარია იყოს სამუშაო“, 20,9%-ს სურს იმუშაო კერძო სექტორში, ხოლო გამოკითხულთა მხოლოდ 4,5% ისურვებდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებას (ნახ. 2.21.).

ნახაზი 2.21. რესპოდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე: „სად გირჩევნიათ სამუშაოს დაწყება?“



აღსანიშნავია, რომ 25 წლამდე ასაკის ადმაიანების ყველაზე დიდი ნაწილი (60,0%) ამჯობინებს თავისი პროფესიით დასაქმებას. ასევე, გმოკითხული ყველაზე ასაკოვანი ადამიანების (60-65) უმეტესობა - 62,5%, აცხადებს, რომ მათთვის სულ ერთია სად დაიწყებს მუშაობას. სახელმწიფო სექტორში დასაქმებას ისურვებდა ყველაზე მეტი - 13,0%, 30-34 წლამდე ასაკის ადმიანი. რაც შეეხება კრძო სექტორში დასაქმების მსურველთ, ყველაზე მეტი - 46,2%, 40-დან 44 წლამდე რესპოდენტებიდან ისურვებდა კერძო სექტორში დასაქმებას (იხ. დანართი - ნახ. 4.5.).

საინტერესოა, დაუსაქმებელ რესპოდენტთა რა ნაწილი მიიჩნევს, რომ მათთვის საჭიროა გადამზადება, რათა აითვისონ ახალი პროფესია. ყველაზე მეტს - 38%-ს საერთოდ არ სურს გადამზადება, 35% მიიჩნევს, რომ ცუდი არ იქნება, მხოლოდ 13%-ს სურს გადამზადება ახალი პროფესიის ასათვისებლად. რესპოდენტთა 14%-მა არ იცის ან ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი სურს თუ არა გადამზადება (ნახ. 2.22.).

აღსანიშნავია, რომ კითხვარში შემდეგი შეკითხვა იყო შემდეგნაირი: „თუ საჭიროდ მიგაჩნიათ გადამზადება, რა პროფესიით (სპეციალობით) ისურვებდით მას (მიუთითეთ)?“ აღნიშნულზე რესპოდენტთა უმრავლესობა უთითებდა კვლავ თავის პროფესიას, ან პასუხობდა მოკლედ: „კვლავ ჩემი პროფესიით“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპოდენტთა უმეტესობამ ვერ გაიაზრა კითხვა სწორად, რადგან გვსურდა მათი პოზიციის გაგება ახალი პროფესიის ათვისებასთან დაკავშირებით.

ნახაზი 2.22. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა თქვენი გადამზადება, ახალი პროფესიის ასათვისებად?“



იმავე კითხვაზე თითქმის ყველა ასაკის რესპოდენტი, გრადა სამი შემთხვევისა, კვლავ პასუხობს, რომ არ სჭირდებათ გადამზადება ახალი პროფესიის ასათვისებლად. 25-დან 39 წლამდე ასაკის ადამიანების დიდი ნაწილისთვის ცუდი არ იქნებოდა გადამზადება, რათა აითვისონ ახალი პროფესია. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო იზრდება რესპოდენტთა ასაკი, მით უფრო იზრდება უარყოფითი პასუხების რაოდენობა (ნახ. 2.23.). აღნიშნული პასუხების შესაბამისად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიძლება გაითვალისწინოს ეს შედეგები და დაგეგმოს გარკვეული სახის პროფესიული ტრენინგები ახალგაზრდებისთვის (და არა მარტო ახალგაზრდებისთვის). ეს ხელს შეუწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას და გაზრდის დასაქმებული ახალგარდების რაოდენობას.

ნახაზი 2.23. რესპოდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე: „ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა თქვენი გადამზადება, ახალი პროფესიის ასათვისებლად?“ - ასაკის მიხედვით



კითხვაზე: „თუ არ ეძებთ სამუშაოს, რატომ?“ რესპოდენტთა ძალიან დიდი ნაწილი - 61% პასუხობს, რომ არ სურთ მუშაობის დაწყება ოჯახური მდგომარეობის გამო. 15%-ს ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს, 14%-ს უბრალოდ ამ დროისთვის არ სურს მუშაობის დაწყება, ხოლო 10%-მა დაკარგა სამუშაოს პოვნის იმედი (ნახ. 2.24.). იმისთვის, რომ დაუსაქმებლების აღნიშნულ ნაწილს შევუწყოთ ხელი სამუშაოს მაძიებელთა რიგებში გადასვლაში საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება. მაგალითად, თუ აშენდება საბავშვო ბაღი ეს შეამცირებს იმ მშობელთა რიცხვს, რომლებიც ბავშვის მოვლის გამო ვერ იწყებენ მუშაობას.

ნახაზი 2.24. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „თუ არ ეძებთ სამუშაოს, რატომ?“



საინტერესოა, რომ კითხვაზე - „ამჟამად ეძებთ თუ არა სამუშაოს?“, 127 რესპოდენტინად დადებითად პასუხობს 104 (82%), ხოლო უარყოფითად - 23 კაცი (ნახ. 2.8.). რაც შეეხება კითხვას: „თუ არ ეძებთ სამუშაოს, რატომ?“, 127 რესპოდენტიდან ჯამში პასუხობს - 51. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: ვინც თვლის, რომ ეძებს სამსახურს, სინამდვილეში შეიძლება საერთოდაც არ ეძებდეს მას. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ თავისებურებად. იგი მიუთითებს იმაზე, რომ შრომის ბაზარზე აქტიურობა რეალურად არც შიენიშნება, მაგრამ ზოგი მაინც თვლის, რომ სამსახურის ძიებაშია.

რესპოდენტებს ასევე ვთხოვეთ მიეთითებინათ თავიანთი ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი. როგორც გაირკვა გამოკითხული ადამიანების ოჯახების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი არის 683,55 ლარი. ყველაზე მცირე სემოსავლიანი ოჯახი ასახელებს 150 ლარს, ხოლო ყველაზე მაღალშემოსავლიან ოჯახს აქვს თვეში საშუალოდ 1300 ლარის შემოსავალი.

კითხვაზე: „რა არის თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო?“ გამოკითხულთა ძალიან დიდი ნაწილი - 85,2% პასუხობს, რომ მათი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო არის ოჯახის სხვა წევრის/ების ხელფასი. 10,2%-ის შემოსავლის ძირითადი წყარო არის სახელმწიფოს დახმარება, 3,9%-ის - ნაცნობების და ნათესავების დახმარება, ხოლო რესპოდენტთა ძალიან მცირე ნაწილი - 0,8% შემოსავალს მიწის ნაკვეთის საშუალებით იღებს. აღნისნული შედეგი ძალიან ყურადსაღებია (ნახ. 2.25.). შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკითხულ დაუსაქმებელთა თითქმის 100% ცხოვრობს სხვის იმედზე, საკუთარი შემოსავლის გარეშე.

ნახაზი 2.25. რესპოდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე: „რა არის თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო?“



კითხვაზე - უმუშევრობის პერიოდში გიცდიათ თუ არა საკუთარი ბიზნესის წამოწყება გამოკითხულთა 65% უარყოფითად პასუხობს, 35% კი - დადებითად (იხ. დანართი - ნახ. 4.6.).

როგორც 2.26. ნახაზზე ვხედავთ, თითქმის ყველა ასაკის რესპოდენტებში ჭარბობს პასუხი - „არა“. მხოლოდ 35-39 და 60-65 წლამდე ასაკის ადმინებში ჭარბობს იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც უცდიათ ბიზნესის დაწყება, იმ რესპოდენტების რაოდენობას, ვისაც არ უცდით იგი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სახელმწიფომ, მათ შორის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, უნდა დანერგოს რაიმე მასტიმულირებელი ღონისძიებები, რათა ადამიანებმა უფრო აქტიურად სცადონ მცირე ბიზნესის წამოწყება. აგრეთვე მოსაფიქრებელია ისიც, თუ როგორ შეიძლება იმ ადამიანების გადამზადება, რომლებიც ბიზნესს დაიწყებენ. აღნიშნული ღონისძიებები, შეუწყობს ხელს ადამიანთა დასაქმებას და მკვეთრად შეამცირებს ამუშევრობის დონეს დედაქალაქის საგარეუბნო ზონაში.

ნახაზი 2.26. რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „ხომ არ გიცდიათ უმუშევრობის პერიოდში საკუთარი საქმე (ბიზნესი) წამოგეწყოთ?“ - ასაკის მიხედვით



რაც შეეხება კითხვას: „თუ სცადეთ, რა იყო მიზეზი, რამაც ხელი შეგიშალათ მის რეალიზაციაში?“, გამოკითხულთა დიდი ნაწილი - 43,8% არასაკმარის კაპიტალს ასახელებს. რესპოდენტთა 23,4% აცხადებს, რომ ბიზნესის წარმატებით რეალიზაციაში ხელი შეუშალა მწირმა განათლებამ და გამოუცდელობამ, ხოლო 20,3% - პროდუქციაზე (მომსახურებაზე) არასაკმარისმა მოთხოვნამ. ასევე, გამოკითხულთა 7,8% და 3,1% მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად ასახელებს შესაბამისად - ჯანმრთელობისა და ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ პრობლემებს (ნახ. 2.27.). ამრიგად, სახელმწიფომ თავისი აქტიური პოლიტიკით ხელი უნდა შეუწყოს კაპიტალის ხელმისაწვდომობის გაზრდას და უნდა იზრუნოს ბიზნესის დაწყების მსურველთა გადამზადებაზე.

ნახაზი 2.27. რესპოდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე: „ თუ სცადეთ ბიზნესის წამოწყება, რა იყო მიზეზი, რამაც ხელი შეგიშალათ მის რეალიზაციაში?“



თავიIII: უმუშევრობის დაძლევის ძირითადი მიმართულებები

3.1. უმუშევრობის შემცირების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

უმუშევრობა დიდ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ყველა ნაწილისთვის, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ მის ბუნებრივ დონემდე შემცირებისთვის გაატაროს რიგი ღონისძიებები. უმუშევრობასთან ბრძოლას ართულებს ისიც, რომ ხშირად მისი გამომწვევი არის არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტორი. თუმცა, ვფიქრობთ, რომ უმუშევრობასთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ, პირველ რიგში, მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრიქციულ უმუშევრობას იწვევს შრომის ბაზარზე ინფორმაციის გავრცელების ხარვეზებიც. ამიტომ, ამგვარ უმუშევრობას სახელმწიფომ უნდა ებრძოლოს, სწორედ ეფექტიანი საინფორმაციო სისტემების შექმნით. სრულყოფილი საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ უმუშევარი რაც შეიძლება მალე მონახავს მისთვის სასურველ ვაკანსიას და დაიწყებს მუშაობას. ანუ სამუშაოს მაძიებელი (უმუშევარი) და ვაკანტური სამუშაო ადგილის მქონე კომპანია, უმოკლეს დროში იპოვნიან ერთმანეთს.

სწორედ აღნიშნულს ემსახურება საქართველოს მთავრობის №68 დადგენილება (2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი) –*„შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.“* მისი მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ფორმირება და შრომის ბაზრის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აგრეთვე, მონაცემთა შეგროვების მეთოდიკის შემუშავება და დანერგვა, შრომის ბაზრის კომპონენტთა უწყვეტი კვლევა, საჭიროებიდან გამომდინარე სპეციალური კვლევების ჩატარება, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლება და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ადგილების ძებნის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხის ასამაღლებლად საკმარისი არ არის ინტერნეტ-პორტალების შექმნა, დასაქმების ფორუმებისა და კვირეულების რეგულარულად ორგანიზება. საჭიროა

დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების ქსელის შექმნის დაჩქარება, რასაც ითვალისწინებს კიდეც შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია.

დღეს საქართველოში არსებობს საჯარო სამსახურის ბიურო. საჯარო სამსახურის ბიურო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ქვეყანაში საჯარო მმართველობის ადმინისტრაციული და საკანონმდებლო პოლიტიკის შემუშავება და ეფექტური საჯარო მმართველობის პრინციპების დანერგვა. ბიურო ახორციელებს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, საჯარო სამსახურების ადამიანური რესურსების მართვის სისტემების გაუმჯობესებას და ელექტრონული მმართველობის პროექტების დანერგვას.[1] აღნიშნული ბიუროს მიერ შექმნილია ვებ-გვერდი (hr.gov.ge), სადაც იტვირთება სახელმწიფო სამსახურში არსებული ყველა ვაკანსია.

სტრუქტურულ უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტიანი გზა არის სახელმწიფოს მხრიდან **ტრენინგების კურსის მომზადება და განხორციელება.** აღნიშნული ხელს შეუწყობს უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლებას და მაღალ კონკურენტუნარიანობას. ამ გზით მიიღწევა სამუშაო ძალის პროფესიულ-კვალიფიციური მომზადების დონის შესაბამისობა სამუშაო ადგილის მოთხოვნებთან.

უმუშევრების სტრუქტურის სიღრმისეული ტენდენციების გამოსავლენად აუცილებელია შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევების მონაცემთა ბაზების რეგულარული და კომპლექსური ანალიზი. უმუშევრობის უფრო სრულყოფილი კვლევისა და დასაქმების უფრო ქმედითი პოლიტიკის შემუშავების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია უმუშევრობის დონის, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმებით, ისე აგრეგირებული მაჩვენებლით გაანგარიშება, რომელიც მოიცავს ასევე ფარულ უმუშევრობას და არასრულ დასაქმებას. დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭიროა უმუშევართა და ვაკანსიების რეგულარული რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ფარული სტრუქტურული უმუშევრობის დონე არსებითად მაღალია პროფესიული განათლების მქონეთა ჯგუფში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების

[1] http://csb.gov.ge/ge/about

პროგრამების გადახედვა შრომის ბაზრის მოთხოვნასთან თავსებადობის კუთხით და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება.

რაც შეეხება ციკლურ უმუშევრობას, მასთან ბრძოლას აუცილებელია ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი. უპირველესად კი, მისი დაძლევა შეიძლება „ქვეყნის **მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდის უზრუნველყოფით.** დღეს-დღეობით ქვეყნების უმეტესობა, სწორედ ამ გზით ცდილობს ციკლური უმუშევრობის შერბილებას.“[1]

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდისა და, შესაბამისად, ციკლური უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კარგი გზა არის **მცირე ბიზნესის განვითარება.** მცირე ბიზნესის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი დაფუძვნება შეიძლება უმოკლეს დროში, ძალიან მცირე დანახარჯებით, გამოირჩევა მეტი თავისუფლებით, დამოუკიდებლობითა და მოქმედების ოპერატიულობით. იგი პირად კონტაქტებს ამყარებს მომხმარებლებთან და ცდილობს, უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებები. „საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში, მცირე ბიზნესმა შედარებით ფართო მასშტაბებს შეიძლება მიაღწიოს იმით, რომ იგი სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით (გარკვეულ პერიოდში საერთოდ თავისუფლდება ან მინიმალურად იბეგრება), აუცილებლობის შემთხვევაში სუბსიდიების გამოყოფით და სხვ.“[2]

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარება, უკვე რამდენიმე წელია, ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული. ამ მიზნით არა ერთი პროექტი ხორციელდება, მათ შორისაა პროექტი - „აწარმოე საქართველოში.“ იგი არის სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე ორიენტირებული პირველი სახელმწიფო უწყება. პროექტის მისიაა ქართული საწარმოების მხარდაჭერა, მათი მოგების გაზრდისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმუშევრობასთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლით. აქვე აღსანიშნავია, რომ უმუშევრობას უნდა ვებრძოლოთ არა ერთი რომელიმე მეთოდით, არამედ კომპლექსურად. ყველა

[1]Cyclical Unemployment – Definition, Causes and Cure - https://goo.gl/5URKTs

[2]**ჩიქავა, ლ.** (2012). *დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში.* თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი". გვ. 114.

მიმართულებამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს უმუშევრობის დონის შემცირებაში, სიღარიბის დაძლევასა და საბოლოოდ, ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლებაში. იმისთვის, რომ საქართველოში შემცირდეს უმუშევრობის დონე, მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება:

- **მოთხოვნის სტიმულირება სამუშაო ძალაზე** - ვინაიდან უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა დარგში ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ისევე როგორც კერძო სექტორის წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან მრეწველობა, ტრანსპორტი, კომუნიკაცია და მშენებლობა მზარდი სექტორებია.[1] შესაბამისად, მათ მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვთ ეკონომიკური ზრდისა და უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით. 2017-2020 წლებში, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია ახალი სატრანსპორტო ქსელის მშენებლობა და ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის გამო, რომელიც ამჟამად მშენებლობის პროცესშია, გრძელვადიან პერსპექტივაში, სავარაუდოდ, 6400-მდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება[2].

ბოლო წლებში ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 27.0 პროცენტით გაიზარდა[3], თუმცა ამ სექტორს აქვს მეტი სამუშაო ადგილის შექმნის პოტენციალი. ვარაუდობენ, რომ 2025 წლამდე საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 1.9 მილიარდი აშშ დოლარიდან 6.6 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება, ხოლო ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობა - დაახლოებით 90%-ით, არსებული 158 515-დან 301 284-მდე.

სოფლის მეურნეობის სფეროს რესტრუქტურირება, ტექნოლოგიებისა და კაპიტალის ფორმირების ზრდა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა გადადინებას სხვა, უფრო მაღალ პროდუქტიულ სექტორებში. სასათბურე მეურნეობების და ფერმების განვითარებისთვის გამოყოფილი

[1]საქსტატი, http://iqi.su/Btwzl
[2]http://www.anakliadevelopment.com

[3]მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018

ინვესტიციების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ გაიზრდება მოთხოვნა მაღალ კვალიფიციურ კადრებზე, მაგალითად, აგრონომებზე, ვეტერინარებზე[1].

- **კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მიწოდების ხელშეწყობა** - შრომის ბაზრის მოთხოვნასა და სამუშაო ძალის მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირება არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი. ამ კუთხით სახელმწიფომ უნდა გაზარდოს განათლების ხარისხის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმებისთვის. პრიორიტეტი უნდა გახდეს განათლების უზრუნველყოფა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის და ქვეყანაში სიღარიბის დასაძლევად. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ყველა დონეზე, განათლების სისტემასა და შრომის ბაზარს შორის კავშირის განმტკიცებას, არსებული მიწოდებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნას მოთხოვნაზე ორიენტირებულ სისტემად, რომელიც კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე შრომის ბაზრის საჭიროებებს დააკმაყოფილებს.

სწორედ აღნიშნული მიზნების მისაღწევად დაიგეგმა ე.წ. განათლების რეფორმა. აღნიშნული რეფორმა მრავალმხრივია და ისეთ საკითხებს შეეხება, როგორიცაა: შრომის ბაზრის კვლევა, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კვალიფიციური მასწავლებლების მომზადება, ხარისხიანი სწავლება-შეფასების პროცესის უზრუნველყოფა და სხვ. განათლების რეფორმის დანერგვისთვის ხდება შესაბამისი ფინანსური და ადამიანურ რესურსების მობილიზება.[2]

სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლების კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პროფესიული განათლების რეფორმას, რომლის ამოცანაა შრომის ბაზრის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება. პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ყველა ფენისთვის[3].

---

[1]საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2017

[2]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, 2017

[3]პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2012-2020. 2013

- **შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) გაძლიერება** - დასაქმების ხელშეწყობისთვის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა“ (ALMP), რომელიც ახალი სამუშაო ადგილების მოძიება-დასაქმებისთვის მოქალაქეებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მთავარი ინსტრუმენტია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომლის 69 სერვისცენტრი დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებას სთავაზობს სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში რეგისტრირებულ პირებს. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ცნება აისახება შრომის ბაზრისა და დასაქმების სფეროს მარეგულირებელ იურიდიულ აქტებში; იგეგმება 2013 წლიდან საქართველოში არსებული შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ყველა კომპონენტის გაფართოება[1]: სამუშაოს მაძიებლებისთვის საშუამავლო მომსახურების გაწევა, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება, პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება, მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა, დასაქმების ფორუმების ორგანიზება, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის (სტაჟირება) ამაღლების სახელმწიფო პროგრამა.

აქტიური პოლიტიკის ზოგადი მიზანია დაგეგმოს და განახორციელოს მხარდამჭერი ღონისძიებები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში გადასვლას. დახმარება სამუშაოს მოძიებაში, პროფესიული გადამზადება, დასაქმების სუბსიდირება თუ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა, აქტიური პოლიტიკის გავრცელებული ფორმებია.

მიუხედავად საქართველოს მთავრობის ძალისხმევისა, მოახდინოს დასაქმების ბაზარზე არსებული პრობლემური ტენდენციების კორექტირება უმუშევრობის მაჩვენებლის დაწევიდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი ერთ ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მოქალაქეებისთვის.

- **მიზნობრივი სოციალური და ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკით შრომის ბაზარზე ქალების და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხელშეწყობა** -

[1] ყოვლისმომცველი ისტორიული მიმოხილვა საქართველოს ALPMs-ის შესახებ მოცემულია ETF -ის (2011) შრომის ბაზრისა და დასაქმების ანგარიშში: ტენდენციები და გამოწვევები სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვეთსა და უკრაინაში

საჭიროა სოციალური დაცვის არსებული სისტემა გაუმჯობესდება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოციალური დაცვის ეფექტიანი და ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს ყველა სექტორს, ხელს შეუწყობს დასაქმებას და არ გახდის ადამიანებს დამოკიდებულს სოციალურ დახმარებაზე. შრომის ბაზარზე ინკლუზიური მონაწილეობის ღონისძიებების მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისათვის პერსონალური სერვისების გაწევა, რათა ხელი შეეწყოს მათ დასაქმებასა და ეკონომიკურ გააქტიურებას.

სოციალურად დაუცველი პირებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ დასაქმება, არამედ შრომის ბაზარზე მათი შენარჩუნების ხელშეწყობის სერვისებიც. ამდენად, გასატარებელია ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც სამუშაოს მოძიებას, ასევე ხანგრძლივი ვადით დასაქმებას. საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდია ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება, სამუშაო გამოცდილების შეძენა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გზით, სოციალურ დაცვასა და დასაქმებას შორის კავშირის გაუმჯობესება.

დასაქმების ხელშეწყობის სერვისების განვითარება სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის შემცირების მიზნით გასატარებელია ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების მრავალფეროვანი ღონისძიებები მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობით. დასაქმების სამსახურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა, რომელიც მიზნად დაისახავს მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობას.

როგორც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ დადგენილებაში ვკითხულობთ (რომელიც ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და რომლის დამტკიცებაც უახლოეს მომავალში იგეგმება - „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“): შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილოების გაზრდას ხელი შეეწყობა როგორც საკანონმდებლო ინიციატივებით, ისე სპეციალური პროგრამების ამოქმედებით.

დაინერგება დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის სფეროში შესაბამისი კანონმდებლობა.

დეკრეტული შვებულების დროს ქალებისათვის უზრუნველყოფილი იქნება მომზადება-გადამზადების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის, სადაც შესაძლებელია, დისტანციური სწავლების გზით.

არსებითია ბავშვზე ზრუნვის ხარისხიანი სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. აქცენტი გაკეთდება სკოლამდელი განათლების განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე ქალების სწრაფად დაბრუნებას. სხვა ღონისძიებებს შორის განხილულ იქნება მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზება როგორც დედების, ისე მამებისთვის, ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, დასაქმების სხვა ალტერნატივების წახალისება, ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით სახლიდან დასაქმების შესაძლებლობის გამოყენება.“

იმისთვის, რომ უმუშევრობის დონე არ გაიზარდოს, მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება:

- ✓ მართვის გაუმჯობესება - იგულისხმება, რომ აღმოიფხვრას სახელმწიფო სტრუქტურებში ხელმძღვანელ-მუშაკთა შეცვლისას, ძველი თანამშრომლების მასობრივად დათხოვნისა და პირადი ერთგულების ნიშნით დაკომპლექტებული „საკუთარი გუნდით“ მოსვლის მანკიერი პრაქტიკა.
- ✓ დასაქმებულთათვის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვა - ამ მიმართულებით აუცილებელია გავაძლიეროთ პროფკავშირები. შრომის კოდექსის დარღვევაზე სწრაფად და ობიექტურად უნდა რეაგირებდეს აღმასრულებელი ხელისუფლება.
- ✓ ანტიდემპინგური კანონის შემუშავება - დემპინგი ემსახურება ადგილობრივ მწარმოებელთა ჩაძირვას, ამიტომ იგი მკვეთრად აზარალებს მცირე ბიზნესს და შესაბამისად ზრდის უმუშევრობის დონეს. ამიტომ, აუცილებელია, სახელმწიფო აქტიურად ებრძოდეს დემპინგურ ფასებს, რათა მაქსიმალურად დაიცვას მწარმოებელი.
- ✓ შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის სისტემის სრულყოფა - დასაქმებულების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, და არა ერთი საერთაშორისო დოკუმენტით. შრომის უფლება თავის თავში მოიაზრებს

დასაქმებულთა უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს შრომის მაქსიმალურად უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო და დაცულ იქნეს შრომის კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებები.

- ✓ შრომითი მიგრაციის მოწესრიგება - მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, საქართველოში იქმნება სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო საემიგრაციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. მისი მიზნებია: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა; არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა; დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა; მიგრაციის მართვის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

3.2. დასაქმების დონის ამაღლების გზები თბილისის საგარეუბნო ზონაში

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი ითვალისწინებდეს გრძელვადიანი განვითარების საფუძვლების შექმნას. საკუთრების უფლების მაქსიმალური დაცვითა და მეწარმეობის ხელშეწყობის მექანიზმების გამოყენებით, უნდა დაიწყოს სწრაფი ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტის მშენებლობა. აღნიშნულის საბოლოო მიზანი არის მოსახლეების კეთილდღეობის დონის ამაღლება, სიღარიბის დაძლევა და საქართველოს მაღალ შემოსავლიან ქვეყანების რიგში ჩაყენება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძვნებოდეს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რომელიც კერძო სექტორის გაძლიერების წინაპირობაა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი. მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია ისეთი მოდელის დანერგვა, რომლის პირობებშიც, ეკონომიკური ზრდის პარალელურად შემცირდება სიღარიბე და უმუშევრობა მოსახლეობაში. ამასთან, ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად უნდა უზრუნველყოს სოციალური უსაფრთხოების და სამართლიანობის პრინციპები.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. ფისკალური დისციპლინა, უმუშევრობის დაბალი დონე და ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანდათანობითი შემცირება და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. საქართველო არის მცირე, ღია ეკონომიკის ქვეყანა. შესაბამისად, ის ვერ იქნება იზოლირებული რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისაგან. თუმცა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვანია ნეგატიური საგარეო შოკების ზემოქმედების შერბილებისათვის.

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ მისი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი მოსახლეობის დასაქმებაა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად აქცენტი კეთდება მეწარმეობის განვითარებაზე. მოქმედებს მეწარმოების ხელშეწყობის რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა.

როგორც ვიცით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, უმუშევრობის დონე ბევრად უფრო მაღალია ქალაქებში (19,3%), ვიდრე სოფლებში (5,8%). აღნიშნული გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ეკონომიკური აქტივობების ძალიან დაბალი დონის გამო სოფლად სამუშად არავინ მიდის. ის თვითდასაქმებული ადამიანები, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ, უმეტესად ძალიან მცირე შემოსავალი აქვთ. ამიტომ ისინიც იწყებენ სამუშაოს ძიებას ქვეყნის დიდ ქალაქებში, ძირითადად, დედაქალაქში. აღნიშნულს ადასტურებს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევაც. კითხვაზე: „სად ეძებთ სამუშაოს?“ გამოკითხულ რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი - 54,2% აცხადებს, რომ სამუშაოს ეძებს თბილისში.

მნიშვნელოვანია, რომ ქალაქსა და სოფელს შორის ხარჯები რადიკალურად განსხვავებულია და ის ქალაქში გაცილებით მაღალია. ადამიანი, რომელიც წყვეტს წამოვიდეს თუ არა სოფლიდან ქალაქში, თავისი კვალიფიკაციისა და უნარჩვევების პირობებში ვერ იპოვნის ისეთ მაღალანაზღაურებად სამსახურს, რომელიც ზემოთხსენებულ განსხვავებას დაუფარავს. შესაბამისად, ის ისევ სოფელში კვლავ დაბალშემოსავლიან პირობებში რჩება. თუმცა, ვინაიდან ჩვენი კვლევა ეხება თბილისის ახლოს მდებარე სოფლებში არსებული სიტუაციის შესწავლას, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული ეფექტი ადამიანთა ქცევაზე არ მოქმედებს. ამის მიზეზი არის ის, რომ ასეთ სოფლებში ძალიან არის გავრცელებული **ქანქარისებული მიგრაცია.** ამგვარად, იმისთვის, რომ ადამიანთა ურავლესობა დასაქმებული იყოს შედარებით მაღალანაზღაურებად სამსახურში, საჭიროა ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების სწორი მოქმედება. ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა სატრანსპორტო კომუნიკაციების მოწესრიგება/გაუმჯობესება. ტრანსპორტის მიმოსვლა, პირობითად, მარტყოფიდან თბილისისკენ უნდა იყოს უფრო ინტენსიური და მოწესრიგებული. სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევას მოემსახურება თბილისის მერიის მიერ დაანონსებული მიწისზედა მეტროს სადგურების მშენებლობაც, რომელიც გეგმის მიხედვით 2019 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

გარდა აღნიშნულისა, ადგილობრივმა მთავრობამ, ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით აუცილებელია დაიწყოს **სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმების**

გატარება, რათა სოფელშივე შეიქმნას მაღალანაზრაურებადი სამუშაო ადგილები. ამისთვის საჭიროა: ფერმერებისთვის ფინანსური მხარდაჭერა, ცოდნის ამაღლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოძიება. მნიშვნელოვანია შემუშავდეს აქტიური აგროპოლიტიკა, რომლის მიზანიც იქნება ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება, მაღალი ხარისხის აგრო-სასურსათო პროდუქციის წარმოება და ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება.

ტურიზმი - ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. დარგის განვითარების თვალსაზრისით, საქართველომ დიდი პროგრესი აჩვენა. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით განვითარება გაგრძელდეს არა მარტო საყოველთაოდ ცნობილ ლოკაციებზე, არამედ შედარებით უცნობ, მაგრამ დიდი პოტენციალის მქონე ტერიტორიებზეც. მაგალითად, თბილისის საგარეუბნო ზონებში, რომელიც სწორედ ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ამ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა მდიდარი კულტურული, ბუნებრივი და რელიგიური მემკვიდრეობა. აღნიშნული პოტენციალის რეალიზაციისთვის საჭიროა რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. მაგალითად, აუცილებელია გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოსასვენებელი ადგილების კეთილმოწყობა და ა.შ. ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს, სხვა არაერთი მომიჯნავე დარგის განვითარებას (სარესტორნო ბიზნესი, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვ.) ყოველივე აღნიშნულის შედეგი კი იქნება უმუშევრობის დონის შემცირება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, არ შეიძლება ფოკუსირება მხოლოდ ტურიზმზე, რადგან აღნიშნული სექტორი გამოირჩევა განსაკუთრებული სენსიტიურობით. გარდა ამისა, ტურიზმის შემდგომი განვითარების პირობებში იზრდება იმპორტზე დამოკიდებულება ჩვენნაირი ქვეყნისთვის. ამიტომ, ტურიზმის განვითარებასთან ერთად აუცილებელია განვითარდეს მისი მომიჯნავე დარგებიც.

როგორც ჩვენი კვლევის შედეგებიდან დავინახეთ, თბილისის შემოგარენში გამოკითხული უმუშევრების უმეტესი ნაწილი ეძებს სამუშაოს ნაწილობრივი სამუშაო დროით. მათი უმეტესი ნაწილი კი არის სწორედ მდედრობითი სქესის

წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა **იზრუნოს** ისეთი **მცირე საწარმოების** გახსნაზე, სადაც დასაქმდებიან, მაგალითად ქალები, ნახევარ განაკვეთზე. ასეთი მცირე საწარმო შეიძლება იყოს სამკერვალო, სალონი და სხვ.

ასევე, კითხვაზე - „თუ არეძებთ სამუშაოს, რატომ?“ რესპოდენტთა უმეტესობა - 61%, აცხადებს, რომ სამუშაოს არ ეძებს ოჯახური მდგომარეობის გამო (მცირეწლოვან ბავშვებს ზრდის ან მოხუცს უვლის). აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად და ამ ადამიანების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიგებში გადასასვლელად აუცილებელია **აშენდეს ან გაფარდოვდეს საბავშვო ბაღები.** აღნიშნულს ექნება ორმაგი ეფექტი, გარდა იმისა, რომ მცირწლოვანი ბავშვების მშობლები დაიწყებენ სამსახურის ძებნას, ახალაშენებულ საბავშვო ბაღშიც დასაქმდება რამდენიმე ათეული ადამიანი.

ასევე, როგორც ვნახეთ, გამოკითხულთა ძალიან დიდ ნაწილს - 65%-ს, უმუშევრობის პერიოდში არ უცდია საკუთარი ბიზნესის წამოწყება, ხოლო ვინც სცადა მათთვის ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორები ასე გადანაწილდა: 43,8% - არასაკმარისი კაპიტალი, 23,4% - მწირი განათლება და გამოუცდელობა, 20,8% - პროდუქციაზე (მომსახურებაზე) არასაკმარისი მოთხოვნა. **უმუშევრობის დასაძლევად, კარგი იქნება დაიგეგმოს გარკვეული ღონისძიებები, რომელიც წაახალისებს ადამიანებს - წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი.** ასევე ამ საქმის წარმატებით რეალიზებისთვის აუცილებელია უმუშევართა გადამზადება, რათა აითვისონ გარკვეული უნარ-ჩვევები ბიზნენის სამართავად. რესპოდენტებს, ასევე, ვთხოვეთ დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი თუ რა მიმართულებით ისურვებდნენ ისინი გადამზადებას, რათა აითვისონ ახალი პროფესია. შედეგი მივიღეთ საკმაოდ მრავალფეროვანი: საექთნო, ფარმაცევტული, სანტექნიკი, სარემონტო ხელობა, მენეჯმენტი, ბუღალტერია, კულინარია, ვიზაჟისტი, მასაჟისტი. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს ადგილობრივ შრომის ბაზარზე, თუ რომელ პროფესიაზეა უფრო მეტი მოთხოვნა და ამის მიხედვით დაიგეგმოს გადამზადების კურსები. ვფიქრობთ, აღნიშნული ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტივობის გაზრდას და უმუშევრობის დონის შემცირებას.

დედაქალაქთან ახლოს მდებარე სოფლებს/დასახლებებს, ტერიტორიული დაშორების ბარიერების არ არსებობის გამო, შეიძლება ითქვას, რომ გააჩნიათ საკმაოდ დიდი ბაზარი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის. თუმცა, წარმოების წამოწყებისა და ბაზარზე გასვლისათვის მცირე და საშუალო მეწარმეებს სჭირდებათ ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების დახმარება. პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, ჩვენ რიგ შემთხვევებში უნდა შევძლოთ იმპორტირებული პროდუქტის ნაწილობრივ ან სრულად ჩანაცვლება. სწორედ ამ მიზნით, სოფელ მარტყოფში იქმნება მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ფერმა (მერძეული-მეხორცეული). ამისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ პროექტის განმახორციელებელ კომპანიას გადასცა ამავე სოფელში მდებარე 101 980,00 კვ. მ. არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საინვესტიციო პირობებით.

საინვესტიციო პირობებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე 2 509 408 ლარის ინვესტიცია განხორციელდება. ამასთან, კომპანია წლიურად უზრუნველყოფს არა ნაკლებ 1 000 000 ლიტრი რძის წარმოებას. პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქციის წარმოების რაოდენობის გაზრდას, რაც დადებითად აისახება უმუშევრობის შემცირებასა და ზოგადად, ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მსგავსი საწარმოების შექმნა თბილისის ახლოს მდებარე სხვა სოფლებშიც მეტ-ნაკლებად მიმდინარეობს. რაშიც აქტიურადაა ჩართული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ი - სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტო. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მსგავსი საწარმოების უმეტესობა ჩართულია პროექტ „აწარმოე საქართველოში“.

დასკვნა

უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემაა. გარდა იმისა, რომ უმუშევრობა არის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, იგი იწვევს არა ერთ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემას.

უმუშევრობა არა ერთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს იწვევს, მათ შორის საქართველოსთვის ყველაზე მწვავედ დგას: მატერიალური დოვლათის დანაკარგები, შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, გარე შრომითი მიგრაცია, დემოგრაფიული მდგომარეობის გამწვავება, ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დეკვალიფიკაცია და ა.შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წელს 2017 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე 1,2 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. რაც შეეხება 2019 წლის პირველ კვარტალს, აქაც შეინიშნება დადებითი ტენდენციები: უმუშევრობის დონე 2019 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,2 პროცენტით არის შემცირებული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან უმუშევრობის დონე საქართველოში მუდმივად ხასიათდება კლების ტენდენციით. აგრეთვე, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

იმისთვის, რათა უფრო სიღრმისეულად შეგვესწავლა აღნიშნული საკითხი და დაგვენახა ბაზრის გარკვეული თავისებურებები, საჭიროდ ჩავთვალეთ ადგილობრივი შრომის ბაზრის ძირეული შესწავლა (კვლევა). ამ მიზნით ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მრავალმხრივაა განხილული პრობლემა. აღნიშნულ კვლევაში, დედაქალაქის ახლოს მდებარე სოფლების მაგალითზე (უმეტესად გარდაბნის რაიონის სოფელი მარტყოფის მაგალითზე) შესწავლილია შრომის ბაზარი.

მიღებული შედეგებიდან შეგვიძლია წარმოვადგინოთ გარკვეული დასკნები:

- გამოკითხულ დაუსაქმებელ რესპოდენტებს შორის ნახევარზე მეტი (50,4%) არის ახალგაზრდა (34 წლამდე) ადამიანი.

- უმუშევართა მხოლოდ 27%-ს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს, 35,4%-ს საერთოდ არ აქვს პროფესია. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველაზე მეტად ზოგადი საშუალო განათლების მქონე ადამიანებს უჭირთ სამსახურის პოვნა.

- რესპოდენტთა ძალიან დიდი ნაწილი 74% აცხადებს, რომ 3 წელზე მეტია რაც უმუშევარია. როგორც ვიცით, როდესაც ადამიანები ამდენ ხანს ეძებენ სამსახურს, საქმე გვაქვს უმუშევრობის ყველაზე მძიმე ფორმასთან - ციკლურ უმუშევრობასთან. ციკლური უმუშევრობა გამოწვეულია ეკონომიკის იმ ციკლით, რომელიც ხასიათდება საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის კლებით. ეროვნული ბანკიც, თავის ანგარიშებში ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ პრობლემად ასხელებს სწორედ მოთხოვნის დაბალ დონეს.

- როგორც გამოკითხვის შედეგებიდან ვნახეთ, ადგილობრივად, სოფელშივე დასაქმებას ისურვებდა მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილი (42,4%). აღნიშნული გამოწვეულია არა ერთი მიზეზით. ამგვარად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, გარდა იმისა, რომ უნდა იზრუნოს თბილისისკენ მიმართული ქანქარისებული შრომითი მიგრაციის ოპტიმიზაციაზე, ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის დასაქმებას ადგილობრივ დონეზეც. აგრეთვე, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, არ დადასტურდა, რომ ახალგაზრდები უფრო ეძებენ სამსახურს თბილისში, ვიდრე ასაკოვანები.

- აღსანიშნავია, რომ რაც უფრო იზრდება ადამინების განათლების დონე, მით უფრო მეტი რესპოდენტი ეძებს სამსახურს თბილისში და, პირიქით, ადამიანთა უმეტესობა, რომლებმაც დაბალ საფეხურზე დაამთავრეს განათლების მიღება, უფრო მეტად ადგილობრივ დონეზე (ამ შემთხვევაში - მარტყოფში) ცდილობენ სამსახურის შოვნას. ეს იმიტომ, რომ სოფლებში არ არის ისეთი სამსახურები, რომელთა შესრულებასაც სჭირდება უმაღლეს დამთავრებულის ცოდნა და უნარები.

- ახალგაზრდა ადამიანები სამსახურს ეძებენ ინტერნეტის საშუალებით, რაც უფრო იზრდება რესპოდენტთა ასაკი, მით უფრო მცირდება ინტერნეტით სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი. სამაგიეროდ, ადამიანების რიცხვი, რომლებიც

ნაცნობების/ნათესავების საშუალებით ეძებენ სამსახურს მუდმივად იზრდება ასაკის ზრდასთან ერთად.

- აღმოჩნდა, რომ ადამინს რაც უფრო დაბალი საფეხურის განათლება აქვს მიღებული, მით მეტად მიმართავს ნაცნობებს და ნათესავებს, სამუშაოს მოსაძებნად, ხოლო რაც უფრო იზრდება რესპოდენტთა განათლების დონე, მით უფრო მცირდება „ნაცნობობით“ სამუშაოს მაძებართა რაოდენობა.

- ქალთა საკმაოდ დიდი ნაწილი (55,9%) სამუშაოს ეძებს „ნაწილობრივი სამუშაო დროით, განსხვავებით კაცებისგან, რომელთა უმეტესობას (ჯამში - 72,2%-ს) სურს დასაქმდეს სრული სამუშაო დროით. აღნიშნული შედეგიც შეიძლება საკმაოდ საგულისხმო იყოს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. მან უნდა ეცადოს, შექმნას ისეთი სამუშაო ადგილები, სადაც დასაქმდებიან, მაგალითად ქალები ნაწილობრივი სამუშაო დროით.

- რაც უფრო იზრდება ადამიანთა განათლების დონე მით, უფრო მატულობს იმ რესპოდენტების რიცხვი, რომლებიც ვერ პოულობენ თავიანთი კვალიფიკაციისა და პროფესიის შესაბამის სამსახურს. ასევე, განათლების დონის ზრდასთან ერთად მუდმივად მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ვერ პოულობენ ვერავითარ სამუშაოს, აგრეთვე მცირდება იმ რესპოდენტთა რიცხვიც, რომლებსაც ხელფასის სიმცირე უშლით ხელს სამსახურის მოძიებაში. აქედან შეგვიძლია დასკვნა გამოვიტანოთ: განათლების დონის ზრდასთან ერთად იზრდება ხელფასის სიდიდეც.

- საინტერესოა, რომ კითხვაზე - „ამჟამად ეძებთ თუ არა სამუშაოს?“, 127 რესპოდენტინად დადებითად პასუხობს 104 (82%), ხოლო უარყოფითად - 23 კაცი (18%). რაც შეეხება კითხვას: „თუ არ ეძებთ სამუშაოს, რატომ?“, 127 რესპოდენტიდან ჯამში პასუხობს - 51. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: ვინც თვლის, რომ ეძებს სამსახურს, სინამდვილეში შეიძლება საერთოდაც არ ეძებდეს მას. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ თავისებურებად. იგი მიუთითებს იმაზე, რომ შრომის ბაზარზე აქტიურობა რეალურად არც შიენიშნება, მაგრამ ზოგი მაინც თვლის, რომ სამსახურის ძიებაშია.

- შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკითხულ დაუსაქმებელთა თითქმის 100% ცხოვრობს საკუთარი შემოსავლის გარეშე, სხვის კმაყოფაზე.

ხელისუფლება ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებას უნდა ცდილობდეს არა ერთი რომელიმე კონკრეტული მეთოდით, არამედ კომპლექსური ნაბიჯებით. მაგალითად: შრომის ბაზრის ეფექტიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვა, უმუშევართა აქტიური გადამზადების/დატრენინგების პროგრამის შემუშავება, მოთხოვნის სტიმულირება სამუშაო ძალაზე (ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, კერძო სექტორის წახალისება), კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მიწოდების ხელშეწყობა (განათლების ხარისხის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან), შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გაძლიერება - დაიგეგმოს და განხორციელდეს მხარდამჭერი ღონისძიებები მათთვის ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში გადასვლას. იმისთვის, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე არ გაიზარდოს, მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება: მართვის გაუმჯობესება, დასაქმებულთათვის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვა, ანტიდემპინგური კანონის შემუშავება, შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის სისტემის სრულყოფა, შრომითი მიგრაციის მოწერიგება და სხვ.

თბილისის შემოგარენში უმუშევრობის დაძლევა უნდა მოხდეს ისეთი ნაბიჯების გადადგმით, როგორებიცაა: ქანქარისებული მიგრაციის ოპტიმიზაცია, სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმების გატარება (ფერმერებისთვის ფინანსური მხარდაჭერა, ცოდნის ამაღლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოძიება), ტურიზმის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გაიხსნას მცირე საწარმოები, აშენდეს ან გაფართოვდეს საბავშვო ბაღები (მცირეწლოვანი ბავშვების მშობლები გადავლენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიგებში). კარგი იქნება დაიგეგმოს გარკვეული ღონისძიებები, რომელიც წაახალისებს ადამიანებს - წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი. ამის ერთ-ერთი მასტიმულირებელი შეიძლება იყოს ის, რომ დედაქალაქთან ახლოს მდებარე სოფლებს, ტერიტორიული დაშორების ბარიერების არ არსებობის გამო, გააჩნიათ საკმაოდ დიდი ბაზარი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. ჟურნალი: „ეკონომისტი“, 2017, ტომი XIII, #2, 13-21.
2. გაბიძაშვილი, ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. თბილისი, 2011.
3. გეგენავა ე., კილაძე თ. საქართველოში უმუშევრობის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და მისი შემცირების მიმართულებები. ჟურნალი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შრომები“, 2017, #1(503), 76-79.
4. გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. სახელმძღვანელო. გამომც. „მერიდიანი“. თბილისი, 2012.
5. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თბილისი, II საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენცია, 2017.
6. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.
7. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. "ეკონომიკური პოლიტიკა", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2009
8. გრიშიკაშვილი, ა. საქართველო გლობალურ სამყაროში. თბილისი, გამომცემლობა „ცისნამი“, 2010.
9. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. თბილისი, ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, 2017.
10. თოდუა ხ. ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში. ჟურნალი: „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2016, #3, 95-96.
11. თორია მ. შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006.
12. კაკულია მ., კაპანაძე ნ., ლომჯარია ვ., ქურხული ლ. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, „რონდელის ფონდი“, 2016.
13. კეინზი, ჯ. მ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995.
14. ლეჟავა დ., ამაშუკელი მ., გუგუშვილი ნ., „განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში.“ თბილისი, 2017.
15. მექვაბიშვილი, ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბილისი, 2012.
16. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. თბილისი, 2018.

17. ომანიძე ს., გაჩეჩილაძე ნ., ლებანიძე ა., ჩაჩანიძე ს., საქართველოს ახალგაზრდობის კვლევა. თბილისი, გამომცემლები: ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ანალიზისა და კონსუტაციის ჯგუფი (ACT), 2017.
18. პაიჭაძე ნ. უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი IX, N1, 2016.
19. პაპავა ვ. "საქართველოს ეკონომიკა", გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015
20. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, თბილისი, 2017. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2012-2020, თბილისი, 2013.
21. საქრთველოს მთვრობის დადგენილება N68 „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებისშესახებ“, 2016 წლის 11 თებერვალი.
22. საქართველოს მთავრობის დადგენილება N167, „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.“ თბილისი, 2016.
23. საქართველოს მთავრობის დადგენილება N199, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.“ თბილისი, 2013.
24. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. თბილისი, 2017.
25. საქართველოს მთავრობის დადგენილება N627, „შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.“ თბილისი, 2016.
26. სილაგაძე ა. "ეკონომიკური დოქტრინები", თბილისი, 2010.
27. ტუხაშვილი მ. შრომითი რესურსების ფორმირება გამოყენება საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში. თსუ გამომცემლობა, 1991.
28. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2016.
29. უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2017 - ანგარიში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. თბილისი, 2017.
30. ფრიდმანი, მ. კაპიტალიზმი და თავისუფლება. თბილისი, 1996
31. შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი", 2012.
32. „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა,“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი, 2015.
33. ჩიქავა ლ. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.
34. ცარციძე მ. უმუშევრობა და ეფექტიანი დასაქმების პრობლემები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, 2018

35. ცარციძე მ. უმუშევრობა, როგორც შრომითი მიგრაციის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი საქართველოში, თბილისი.
36. ცარციძე მ. შრომის ბაზრის ეკონომიკა. სალექციო კურსი.
37. ხადური ნ.,კაკულია ნ., ჩიქობავა მ. „მაკროეკონომიკა“, ლექციების კურსი. თბილისი, 2011
38. ხადური ნ. „ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა., IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“კრებული. თბილისი, 2012
39. ხარაიშვილი ე. „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“, მონოგრაფია გამომცემლობა ,,უნივერსალი“, 195 გვ.
40. 2013-2017 წლებში სამუშაოდან განთავისუფლებულთა საქმეების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი. თბილისი, სამართლიანობისა და განვითარების ინსტიტუტი, 2018.
41. Cyclical Unemployment – Definition, Causes and Cure - https://goo.gl/5URKTs
42. David Romer, Advanced Macroeconomics, 1996 - http://lnnk.in/aObM
43. Frictional Unemployment – Definition, Causes and Cure - https://goo.gl/8oHyX4
44. Structural Unemployment – Definition, Causes and Cure - https://goo.gl/LfzW3f
45. World Employment And Social Outlook, Trends 2015. International LabourOfficw(ILO), Geneva 2015.
46. https://www.ipress.ge/new/1600-saqartvelo-regionshi-ekonomikuri-utanastsorobis-reitingis-lideria
47. https://tradingeconomics.com/georgia/ease-of-doing-business
48. http://csb.gov.ge/ge/about
49. http://geostat.ge/?action=page&p_id=166&lang=geo
50. http://geostat.ge/?action=page&p_id=169&lang=geo
51. https://bit.ly/2JpwOPD
52. http://iqi.su/Btwzl
53. https://bit.ly/2JfTd3e
54. https://bit.ly/2S0ti2b
55. https://bit.ly/2L6zxkm
56. https://bit.ly/2Xu98i6
57. https://goo.gl/QpA6ZQ